პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამს.—65 კ. დანარჩ. ქალაქში-85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. სამგლოვიარო განცხ.—5 მ. განმეორებ. განცხ. შეღავათი 15 პროც. განცხ. მიიღება მუად. 2 ს.
ექსპედიციის ტელეფონი 5—43.

№ 140 (995) შაბათი, 21 ივნისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. (500 მილ.) № 140 (995)

დღიური

— შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისს და მექსიკას შორის.

— ალბანეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე[illegible] სკუპდა მღვდელი ფანოლი.

— პოლონეთში დასრულდა უკრ[illegible] პროცესი.

— ამერიკის კაპიტალი აპირებს დიდი მუშაობის დაწყებას გერმანიაში.

— პოლონეთში იზრდება მოძრაობა მთავრობის წინააღმდეგ.

ფაშისტების „მოღვაწეობა“

უდიდესი მნიშვნელობის ამბები ხდება დღეს იტალიაში.

ეს ქვეყანა, როგორც ვიცით, ფაშიზმის სამშობლოა, მუსოლინის, „შავბლუზიანების“ (ფაშისტების) განუკითხავი დიქტატურის სამფლობელოა.

ფაშისტების მოქმედების მთავარი მეთოდია თეთრი ტერორი. თავზე ხელაღებული ფაშისტური ბრბოები, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი, თავზარსა სცემენ, მუსრს ავლებენ ყველა ცოტად თუ ბევრად ოპოზიციონურად განწყობილ ელემენტებს,—რო არ ვილაპარაკოთ კომუნისტურ პარტიაზე, რომელიც ჯურღმულშია ჩადენილი.

მუშათა ორგანიზაციების დარბევა, მუშების ფიზიკური შეურაცხყოფა, მასიური დაპატიმრება, მკვლელობა—ჩვეულებრივი მოვლენაა ფაშისტების პრაქტიკაში.

ხალხის ხმა, უფლება ფეხქვეშაა გათელილი. ვითომდა სახალხო წარმომადგენელთა უმაღლესი ორგანო—პარლამენტი მუსოლინის უსიტყვო, ყურმოჭრილი მონაა. მან ერთხელ კიდეც განაცხადა, რომ თუ მოისურვებს, პარლამენტს ჯარის საბანაკოდ აქცევს და ხალხის „წარმომადგენლებს“ უცერემონიოდ გარეკავს. ასეც მოიქცა თავის დროზე.

პარლამენტის ახალ „არჩევნებში“, რა თქმა უნდა, ფაშისტებმა მიიღეს ხმების უმრავლესობა, ვინაიდან ნამდვილად აქ არავითარ არჩევნებს, ხალხის ნებისყოფის თავისუფალ გამომჟღავნებას, ადგილი არ ჰქონია. ხალხი მორეკეს საარჩევნო ყუთებთან და მუქარის ქვეშ თავიანთი თავი გააყვანიეს მის წარმომადგენლებად.

მაგრამ ასეთ საპარლამენტო გამარჯვებას მტკიცე ნიადაგი არ შეუქმნია ფაშისტების ბატონობისათვის.

მტრების, ე. ი. მშრომელთა დაშინებას, მათი გაბედული წარმომადგენლების წინააღმდეგ ტერორს ისინი სისტემატიურად მიმართავენ.

დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ამ ტერორის საზიზღარ გამოხატულებასთან.

ამას წინედ უკვალოდ დაიკარგა დეპუტატი, სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ერთი ლიდერთაგანი—მატეოტი.

როგორც დანამდვილებით გამოირკვა, მატეოტის გატაცება და მკვლელობა მოუწყვიათ ფაშისტების ხელმძღვანელ წრეებს, რათა ბოლო მოეღოთ მისი გამოსვლისათვის პარლამენტში ფაშისტების წინააღმდეგ. ამ „საქმის“ უშუალო მომწყობი აღმოჩნდნენ პოლკოვნიკი მარრინელი—ფაშისტური პარტიის მდივანი, მუსოლინის პირადი მეგობარი, და ჩეზარე როსსი, დაჯილდოებული „საპატიო კაპრალის“ (ფაშისტური მილიციის უმაღლესი „საპატიო“ სახელწოდება) სახელწოდებით.

ეს გარემოება უდიდეს აღშფოთებას იწვევს მთელი იტალიის მშრომელ მასსაში და სხვა ქვეყნებში.

იტალიაში ხდება საპროტესტო გაფიცვები.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ, ამასთან წინადადებას აძლევს მაქსიმალისტებს და რეფორმისტებს გაერთიანონ ძალღონე ფაშისტური მთავრობის დასამხობად.

საყურადღებოა რეფორმისტების პოზიცია. ისინი აღიარებენ, რომ დღევანდელი კრიზისიდან ფაშიზმი გამოვა დასუსტებული და მაშინ წარმოიშვება აუცილებლობა „ნდობის სამინისტროს“ შექმნის, რომელშიც ოცნებობენ თვითონ შევიდნენ.

არა აშკარა ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ, არამედ მათთან თანამშრომლობა,—აი, რეფორმისტების პოლიტიკა. ამაზე უფრო შორს ვერ წავა მუშათა კლასის გამცემლობა.

მაგრამ „სოციალისტებისაგან“ სხვა არაფერია მოსალოდნელი. ისინი ხომ თვითონ არიან დამნაშავენი, რომ იტალიაში დღეს ფაშისტური ტერორი მძვინვარებს, რომ მუსოლინია ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი. მათ ხომ ზურგში ლახვარი ჩასცეს იტალიის მუშებს, როცა უკანასკნელებმა ამ რამოდენიმე წლის წინედ მოინდომეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება! „სოციალისტების“ გამცემლობა მას შემდეგ დღემდე არ შეწყვეტილა.

მეორე მხრივ აღსანიშნავია ფაშისტების ოფიციალური დამოკიდებულება მათ მიერ ჩადენილ ტერორისტულ აქტისადმი.

პარლამენტის ფაშისტურმა უმრავლესობამ უარყო საგანგებო საპარლამენტო კომისიის დანიშვნა საქმის გამოსაძიებლად. ოპოზიციონურ პარტიების საპასუხოდ, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ გადასწყვიტეს მხოლოდ „საკონსტიტუციო გზით“ იბრძოლონ მკვლელობის გარემოებათა გამოსარკვევად,—მუსოლინი იმუქრება პარლამენტის დათხოვნით. იგი ცდილობს „შინაურულად“ მოაწყოს პარლამენტის პრეზიდიუმის კომისია, რათა „ნათელი მოჰფინოს“ მატეოტის მკვლელობის ამბავს, ე. ი. მიჩქმალოს ფაშისტების სისხლის სამართლის ბოროტმოქმედება.

დღეს ჩვენ ვერ ვიტყვით, თუ რა ხასიათს მიიღებს სოციალისტ-დეპუტატის მკვლელობით გამოწვეული მოძრაობა.

მხოლოდ ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ ეს ტერორისტული აქტი გახდება ერთ-ერთ გამოსავალ პუნქტად იტალიის მუშათა კლასობრივი ცნობიერების გამოფხიზლებისათვის, მათი რევოლიუციონური ენერგიის გაღვივებისათვის.

მომხდარი ამბავი ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ მოაგონებს მუშათა კლასს, თუ რა ბანდიტებთან, კაცის მკვლელებთან გვაქვს საქმე ფაშისტების სახით.

ფაშიზმი—თავის ბატონობის გაგრძელებაზე იმედ-დაკარგულ ბურჟუაზიის უკანასკნელი დასაყრდენია. ფაშისტური ორგანიზაციებით მოფენილია არა მარტო იტალია, არამედ ევროპა, მთელი კაპიტალისტური სამყარო. ბრძოლა ფაშიზმთან—ეს ძირითადი ამოცანაა მსოფლიო მუშათა კლასის.

კომინტერნის კონგრესის დღის წესრიგში ცალკე მუხლად სდგას ეს საკითხი.

და კონგრესი კიდეც გამოიმუშავებს ფაშიზმის წინააღმდეგ ძლევა-მოსილი ბრძოლის შესაფერ მეთოდებს.

რევოლიუციის შტაბი

(კომინტერნის მეხუთე კონგრესი)

ამ ხანათ მიმდინარეობს რევოლიუციის შტაბის, კომინტერნის 5 კონგრესი. ამ კონგრესის მუშაობა—დღეს გაცილებით მშვიდობიან პირობებში ხდება ვიდრე ხდებოდა წინა კონგრესების მუშაობა.

მართალია რევოლიუცია-რეაქციის ბრძოლა არ დასრულებულა. მართალია ფაშიზმი საერთაშორისო ძალით გამოდის და კაპიტალის შემოტევას სისტემატიური ხასიათი აქვს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ბრძოლაში დაიბადა, გაიზარდა და გამტკიცდა კომინტერნი, რომელიც დღეს მტკიცე და ძლიერ ორგანიზაციის წარმოადგენს.

მართლაც რას წარმოადგენდა და რას წარმოადგენს კომინტერნი?

1919 წლის მაისის პირველ რიცხვებში, კომინტერნის პირველ კონგრესს მხოლოთ რამდენიმე ქვეყნის დელეგატები ჰყავდა. იმ ხანათ რუსეთის რევოლიუცია მომწყვდეული იყო სასტიკ ბლოკადის გარემოცვაში, ხოლო მას ყოველმხრივ ფრონტი ჰქონდა გახსნილი.

ამ სასტიკ და საშინელ ბრძოლის პროცესში იშვა კომინტერნი და თითქოს დასჩემდა დაბადების „სენი“—იგი სასტიკ და საშინელ ბრძოლის ორგანიზაციათ იქცა კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ.

თუ გადავხედავთ კომინტერნის განვითარებას დაწყებული პირველ კონგრესიდან, ვიდრე დღემდე ჩვენს წინაშე მეტად მდიდარი სურათი გაიშლება.

კომინტერნის ზრდა შეუჩერებლივ და ჩქარი ტემპით ვიდოდა წინ.

როგორც ევროპის, ისე აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნებში კომინტერნის ხმა მიწვდა მშრომელთა ფენებს. კომინტერნის პოლიტიკური პლატფორმის ნიადაგზედ მოხდა რევოლიუციონურ ძალთა თვითგამორკვევა.

გერმანეთის კომუნისტური პარტია სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ნაწილიდან წარმოსდგა. საფრანგეთის კომუნისტური პარტია საფრანგეთის სოციალისტური პარტიისაგან წარმოიშვა. იტალიის სოციალისტური პარტიის შინაგანმა ჰიდილმა მოგვცა მარცხენა ფრთით იტალიის კომუნისტური პარტია. დაახლოვებით მსგავსი პროცესები მოხდა ავსტრიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, დანიაში, ესპანეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, ირლანდიაში, ამერიკაში, არგენტინაში, ურაგვაიში და სხვ.

ერთი სიტყვით სოციალისტურ პარტიების დაშლის პროცესში მოქცევით, რაც შრომისა და კაპიტალის დაპირისპირების ლოღიკური შედეგი იყო და არის, აღმოცენდა კომუნისტური პარტიები, კომინტერნის სექციები. კომინტერნმა შემოიკრიბა თავის ირგვლივ ყველა საღი, რევოლიუციონური ელემენტები.

ამ რიგად, კომინტერნი გახდა ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ორგანიზაცია, ის თავის რიგებში აერთიანებს როგორც რუსსა და უკრაინელს, ისე ქართველსა და სომეხს მუშას. როგორც გერმანელსა და ფრანგს, ისე ოსმალოს და სპარსელს, როგორც ამერიკელსა და ავსტრალიელს, ისე იაპონელსა და ჩინელს. კომინტერნის კონგრესს ჰყავს თეთრკანიანი, შავკანიანი და წითელკანიანი დელეგატები.

ამაშია კომინტერნის სიძლიერე. ამაშია მისი ინტერნაციონალური ბუნების განსახება. ამიტომ არის, რომ კომინტერნს 5 კონგრეს გულდამშვიდებით და რევოლიუციონური ანგარიშით შეუძლია პოლიტიკური საკითხების გაშუქება, საერთაშორისო მუშათა კლასისათვის ბრძოლის მეთოდების გამომუშავება მიმდინარე პოლიტიკურ პერიოდში.

არ არის დასამალი, რომ ძლიერდება რეაქცია, რომ გადამწყვეტი ბრძოლები კიდევ წინაა, მაგრამ ვერავინ ვერ მალავს იმასაც, რომ ძლიერდება რევოლიუცია, იზრდება რევოლიუციონური ძალები.

უკანასკნელ ხანებში ევროპის ქვეყნებში საერთოდ და გერმანეთში კერძოთ კომპარტიების გაძლიერების სურათები მეტად ხელსახებია.

ეს ასეც უნდა იყოს. ბრძოლის სტიქია თავისი შინაგანი ლოღიკით მიაქანებს უკიდურესი ძალების განვითარებას, მათ პარალელურათ გაძლიერებას ერთმანეთის საწინააღმდეგოთ. აქ არის ფაშიზმის და ბოლშევიზმის დარაზმვის ხანა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი დარღვეულია.

ასეთ პირობებში უხდება კომინტერნის 5 კონგრესს მუშაობა. ეს მუშაობა არ მოითხოვს კომინტერნის ძირითადი პრინციპების გადაფასებას. ეს პრინციპები, რომლებიც ამხ. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით არის ჩამოყალიბებული, წარმოადგენდა და წარმოადგენს მეტად მჭრელ პოლიტიკურ სამართებელს, რომელიც სწორათ ჰკვეთდა და ჰკვეთს საერთოდ თანამედროვე ეპოქის მიერ წამოყენებულ სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს.

კომინტერნის 5 კონგრესს მხოლოთ არსებულ კონკრეტიული ვითარების შეფასება და პრაქტიკული სამოქმედო გზის მიცემა უხდება კომინტერნის სექციებისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ კომინტერნის ზრდა არ შეჩერდება. კომინტერნი ერთად ერთი მტკიცე, ორგანიზაციულათ მჭიდრო და მთლიანი საერთაშორისო რევოლიუციის შტაბია. ის თეორიულათ და პოლიტიკურათ მკვეთრი, რევოლიუციონური ნივთიერებიდან არის ჩამოსხმული. ის დამონებული კლასის და დამონებული ერის ინტერესთა ორგანიული შეგუებაა.

მისი ზრდის შეჩერება არ ძალუძს არც ბურჟუაზიული ბაცილებით დასნეულებულ მაკდონალდის სხეულს და არც „ნაციონალური ბლოკის“ ტვინით გატენილ ერრიოს „მემარცხენე“ თავს.

ახლო მომავალი ჩვენ დაგვანახებს, რომ მაკდონალდის და ერრიოს პოლიტიკა, საუკეთესო საშუალება გახდება არა მარტო ინგლისელ და ფრანგ მუშების გამოსაფხიზლებლათ, არამედ საერთაშორისო მუშათა გამოსაფხიზლებლათაც.

კომინტერნის 5 კონგრესს შეუძლია უცქიროს მომავალს სრული იმედით და საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენით.

სერ. ამაღლობელი.

უცხოეთის პრესა

აკეთოს „მავრმა“ თავისი საქმე ანუ რატომ არის საფრანგეთის ბურჟუაზია „მუშათა მთავრობის“ მომხრე ინგლისში.

გაზეთი „ტან“ (29 მაისი), ხელმძღვანელი ორგანო საფრანგეთის ბურჟუაზიული რეაქციისა, არკვევს თავის დამოკიდებულებას მაკ-დონალდის მთავრობასთან და გამოსთქვამს ისეთ აზრებს, რომლებიც არ არიან ინტერესს მოკლებული.

გაზეთი ძლივს დაფარული კმაყოფილებით აღნიშნავს ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრში, ქ. ლივერპულში, მომხდარ დამატებითი არჩევნებზე კონსერვატორების დამარცხებას და „მუშათა პარტიის“ კანდიდატის გამარჯვებას. ისევ ძლივს დაფარული მწუხარებით მოგვითხრობს ის, თუ როგორ გაიმარჯვა მუშათა პარტიის კანდიდატზე კონსერვატორმა ასეთივე დამატებითი არჩევნებზე ქ. გლაზგოში. ამასთან გაზეთი სცდილობს დაამციროს მკითხველის თვალში კონსერვატორის გამარჯვების პოლიტიკური მნიშვნელობა. მისი სიტყვით ეს მოხდა იმიტომ, რომ კონსერვატორების კანდიდატი იყო ფრიად პოპულიარული სახელგანთქმული მოღვაწე ამ ქალაქში, ხოლო მუშათა პარტიის კანდიდატი თითქმის უცნობი და, გარდა ამისა, მემარცხენე მიმდინარეობის წარმომადგენელი ამ პარტიაში: ამ უკანასკნელმა გარემოებამ, გაზეთის აზრით, დააშინა ბურჟუაზია.

რა უნდა რეაქციონერების გაზეთს სთქვას ამითი?

დიდ ბოდიშის მოხდის შემდეგ, რათა არ აწყენინოს ინგლისელ კოლეგებს, გაზეთი ამჟღავნებს თავის სურვილებს და აშკარათ აღიარებს, რომ, რამდენადაც კითხვა შეეხება ორ უმთავრეს მეტოქეს ინგლისში: „მუშათა პარტიას“ და კონსერვატორებს—ხოლო კითხვა სწორეთ ასე სდგას, რადგან, გაზეთის საკმაო სამართლიანი აზრით, ლიბერალური მიმდინარეობა თანდათან ჰქრება—ის, გაზ. „ტან“, **მომხრეა, რომ მომავალ არჩევნებიდან გამარჯვებული გამოვიდეს მაკდონალდის პარტია და დამარცხდეს პარტია კონსერვატორებისა.**

„თუ 1924 წელში, მაკ-დონალდის მთავრობა იძულებული შეიქნება დააჩქაროს არჩევნები და თუ ამ შემთხვევაში კონსერვატორების გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, ცხადია გერმანელები იფიქრებენ, რომ ინგლისი შეიქნება აშკარა რეაქციონური ქვეყანა, ვინაიდან პრუსიელი კონსერვატორი ფიქრობს, რომ ინგლისელი კონსერვატორი მისი მსგავსი არსება არის. მაკ-დონალდის კაბინეტის დარჩენა უმცირესობაში, პარლამენტის გაშვება და კონსერვატიული მთავრობის ხელახალი ჩადგომა სახელმწიფოს სათავეში იქონიებდა სახიფათო გავლენას გერმანიაზე: იქ გაძლიერდებოდნენ ნაციონალისტები და მით მოისპობოდა შანსები ექსპერტთა გეგმის გატარებისა“.

მაგრამ გაზეთი სხვა მხრივაც უდგება საკითხს და პირდაპირ აშინებს ინგლისს იმ „სოციალური შედეგებით“, რომლებიც მოჰყვებოდა „მუშათა პარტიის“ დამარცხებას და კონსერვატორების გამარჯვებას. რაში მდგომარეობს ეს „სოციალური შედეგები“?

გაზეთი სწერს, რომ გერმანიის კაპიტალისტები აგრძელებენ სამუშაო დღეს, ამცირებენ ხელფასს, მძვინვარებს ყველგან ლოკაუტი.

„რაც უფრო გაძლიერდება გერმანიაში ნაციონალისტური პარტია მით უფრო იძულებული შეიქნებიან მუშები დათანხმდნენ ასეთ პირობებზე. იქნებოდა თუ არა ეს სამართლიანობა (!!), იქნებოდა თუ არა შესაფერისი დიდი ბრიტანეთის მრეწველობისათვის, რომ მუშებმა მიიღონ მცირე ხელფასი, ხოლო გერმანიის მრეწველობა განვითარდეს და აუარებელი საქონელი დაამზადოს?... ამიტომ ჩვენი სურვილია, რომ მაკ-დონალდის მთავრობამ იარსებოს და გააგრძელოს თავისი დღევანდელი მუშაობა“.

„ტანი“ ამბობს ამნაირათ, იცოცხლოს მაკ-დონალდის მთავრობამ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისში გაიმარჯვებენ კონსერვატორები, ამას მოჰყვება გერმანელ ნაციონალისტების გამარჯვება. ეს კი შეაფერხებს ექსპერტების გეგმის გატარებას. ეს არაა სასურველი მისთვის. მარა ამავე დროს მას სურს მიიმხროს თვით ინგლისის ბურჟუაზია, რომელსაც ნაციონალისტების გამარჯვების შემდეგ გერმანიის საერთოდ მოელის იაფი საქონლის დაგროვებისა და კონკურენციის [illegible], თუ მუშები ვერ მიიღებენ საკმაო ხელფასს.

ვისაც გულ უბრყვილოს ეჩვენება, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიას გული შესტკივა გერმანიის მუშებისათვის. მაგრამ აშკარაა რა აწუხებს მას

ერთი სიტყვით ზომიერი პარტიების, თუ გინდ „მუშათა პარტიების“ გამარჯვება ინგლისში და გერმანიაში—აი რაში მდგომარეობს „ტან“-ის და საფრანგეთის ბურჟუაზიის მიზანი. ცხადია ვის საქმეს აკეთებენ „მუშათა პარტიის“ „მავრები“. სოციალისტური და ეგრედ წოდებული „მუშათა პარტიები“ შეიქნენ დასაყრდნობი ომში გამარჯვებული ბურჟუაზიისათვის, ვერსალის რეჟიმის გასამაგრებლათ ევროპაში.

აი რა აზრი უნდა გამოვიყვანოთ ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ გაზ. „ტან“-ის მსჯელობიდან.

ინგლისი და მექსიკა

მაკდონალდის განცხადება.

ლონდონი. 20 ივნისი. დღეს თემთა პალატაში მაკდონალდმა გააკეთა მოხსენება ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის და მექსიკის მთავრობის შორის კონფლიქტის შესახებ.

მაკდონალდმა გამოარკვია ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის უთანხმოების მიზეზები მექსიკის მთავრობასთან, წაიკითხა რწმუნებულის წერილი, რომელიც მექსიკის მთავრობამ შეურაცხმყოფელად ჩასთვალა და განაცხადა, რომ წერილში ის ვერ ხედავს ვერაფერს ისეთს, რაც ეწინააღმდეგება ჩვეულებრივ დიპლომატიურ ურთიერთობას. შემდეგ პრემიერმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა გაეგზავნა მექსიკაში ტომას ხოლერი ადგილობრივ საქმის გამოსარკვევად, მაგრამ ამ განზრახვას უარყოფითად შეხვდა მექსიკის მთავრობა, რის გამოც ბრიტანეთის მთავრობამ სთხოვა ამერიკის მთავრობას მიეღო ზომები, რათა ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული მშვიდობით გამომგზავრებულიყო მექსიკიდან და თავს ედვა ბრიტანეთის დიპლომატიური მისიის და არქივის დაცვა. მაკდონალდმა წაუკითხა პალატას ვაშინგტონიდან მიღებული ცნობა, რომ **ბრიტანეთის მთავრობის თხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საფრანგეთი იცნობს საბჭოთა კავშირს

ერრიოს მთავრობის დეკლარაცია ბუნდოვანათ მიაჩნიათ

კომპარტია აწყობს დემონსტრაციას ფაშისტების წინააღმდეგ

ერრიო მიდის მაკდონალდთან სათათბიროთ გერმანიის საკითხის შესახებ

საბჭოთა კავშირს იცნობენ

პარიზი. 18 ივნისი. საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის საზოგადოებას დაერქვა საფრანგეთ-რუსეთის ახალი მეგობრობის საზოგადოება.

აღნიშნულმა საზოგადოებამ გამოუშვა ყოველკვირეულ ჟურნალის „ახალი მეგობრობის“ პირველი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია დე-მონზის წერილი. უკანასკნელი სწერს, რომ **რუსეთის ემიგრანტების საქმე არ შეადგენს საფრანგეთის საქმეს; საფრანგეთმა უნდა გაწყვიტოს კავშირი რუსეთის ემიგრაციასთან და მან უნდა იცნოს საბჭოთა კავშირი. ჟურნალი აღნიშნავს ემიგრანტების დამღუპველ გავლენას და ამბობს, რომ ემიგრანტები განგებ ავრცელებენ ყალბ ცნობებს საბჭოთა კავშირის შესახებ; ჟურნალი ენერგიულ პროტესტს აცხადებს ამ ყალბი ცნობების გავრცელების წინააღმდეგ.**

საზოგადოებამ პარიზში მოაწყო კრება, რომელზედაც ირჩეოდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხები. კრებაზე გამოვიდენ შარლ ჟიდი, დე-მონზი და სხვები. **ორატორები თავის სიმპატიებს გამოსთქვამდენ საბჭოთა კავშირის მიმართ. დე-მონზიმ განაცხადა, რომ საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი უნდა დაუახლოვდენ ერთმანეთს, რაც აუცილებელია მშვიდობიანობისა და საფრანგეთის ინტერესებისათვის.** „საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობას,—სთქვა დე-მონზიმ. ჩვენ ყური არ უნდა დაუგდოთ ემიგრანტებს, რომლებიც ყალბ ცნობებს ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ; ჩვენ რომ ინგლისსზე და იტალიაზე ადრე გვეცნო საბჭოთა კავშირი, მაშინ სერიოზულ უპირატესობას მივიღებდით. რაც შეეხება საკითხს რუსეთის ვალების შესახებ, ამ საკითხის გადასაწყვეტათ ჩვენ უნდა მივმართოთ განსაკუთრებულ საშუალებას, რომელიც შესაძლებელს გახდის საბჭოთა კავშირის სიმდიდრეთა რეალიზაციას“.

დე-მონზიმ თავისი სიტყვა დაამთავრა შემდეგნაირათ: **„დაჰკრა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის შეერთებული მუშაობის დიდებულმა საათმა“.**

ბუნდოვანი პროგრამა

პრესა დეკლარაციის შესახებ

პარიზი. 18 ივნისი. პრესა მთავრობის დეკლარაციას ბუნდოვანად სთვლის.

თვით მემარცხენე პრესაც აღიარებს, რომ საჭირო იყო ზოგიერთი მუხლების უფრო გარკვევით აღნიშვნა.

„**კოტიდიენ**“ სწერს, რომ „ამნისტია უფრო ფართე უნდა იყოს“-ო.

„**ერ ნუველ**“ რურის ოკუპაციის პირობებს არ სთვლის საკმაოდ დასაბუთებულად და აღიარებს, რომ დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც რურის ოკუპაციას შეეხება „ძლიერ გვაგონებს პუანკარეს პოლიტიკასო“.

სააგენტო „კაპიტალ“ ესალმება ერრიოს იმის გამო, რომ **ის საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში ბაძავს მაკდონალდს, მაგრამ სააგენტოს** აშინებს მთავრობის ფინანსიური ღონისძიებებით.

„**ჟურნალ ინდუსტრიელ**“ სასურველათ სთვლის, რომ მთავრობამ ფინანსიურ დარგში ლამაზი სიტყვების ნაცვლად შეიმუშავოს ისეთი პროგრამა, რომლის განხორციელება რეალურად იქნებოდა შესაძლებელი.

მემარჯვენე პრესა ნახევრად იწონებს დეკლარაციას და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ერრიომ გამოიწვია საელჩო ვატიკანიდან.

„**ლიუმინიტე**“-ც აღნიშნავს, რომ **დეკლარაცია ბუნდოვანია. გაზეთი აღნიშნავს, რომ კომუნისტი კაშენი კრიზისის დაწყების დღიდანვე კაპიტალისტურ თვალსაზრისს უპირისპირებდა კომუნისტურ თვალსაზრისს, აკრიტიკებდა მთავრობის რეფორმებს და მოითხოვდა ჯარების გაყვანას მაროკკოდან და სირიიდან, საბჭოთა კავშირის ცნობას. გაზეთი აცხადებს, რომ დეკლარაცია შესაძლოა განზრახ იყო შედგენილი ასე ბუნდოვნად, რომ უმრავლესობა მიეღო. ცხოვრებაში გატარების დროს კი, მას ოპოზიციაში ჩაუდგებიან მემარჯვენეები და შესაძლოა სოციალისტებიც, რომლებიც თითქოს ვერ ხედავენ სრული ნდობის გამოცხადებას მთავრობისათვის.**

„**ჟურნალ დე დება**“ სწერს, რომ დეკლარაცია წარმოადგენს ბუნდოვან გეგმას, რომელიც ნავარაუდევია გამოურკვეველი მომავლისათვის. ერიო ქანაობს ქვეყნისა და პარტიის ინტერესებს შუა და როცა საჭირო იქნება მოქმედება, წონასწორობას ვერ დაიცავს.

„**ტან**“ აცხადებს, რომ საელჩოს დატოვება ვატიკანში საჭიროა საფრანგეთის პრესტიჟისათვის. გაზეთი შიშობს, რომ საყოველთაო ამნისტია სოციალური მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ნაცვლად დაარღვევს მას. გაზეთი ილაშქრებს სახელმწიფო მოსამსახურეთათვის პროფკავშირებში გაერთიანების უფლების წინააღმდეგ.

მემარცხენეებს აფრთხილებენ

მემარცხენეთა „ამლაგამავის“ როლში.

პარიზი, 20 ივნისი. პრესა ფიქრობს, რომ დე-სელვას არჩევით სენატმა დაამტკიცა, რომ იგი გამოდის მემარცხენეთა „ამლაგმავის“ როლში.

საფრანგეთის პრესა ერრიოს შესახებ.

პარიზი, 20 ივნისი. მემარცხენე გაზეთები ხაზს უსვამენ ერრიოს სამინისტრო დეკლარაციის **სიმტკიცეს.** გაზეთები აფრთხილებენ ერრიოს ერიდოს **კულუარულ მანევრებს,** რამაც ხელი შეუწყო დე-სელვას არჩევას.

ზომიერი პრესა ნდობით **უცქერის** ერრიოს პატრიოტიზმს, **რადგან ის** „მოითხოვს გერმანიისაგან გარანტიებს“.

დე-სელვას არჩევა.

პარიზი, 20 ივნისი. სენატის თავმჯდომარეთ არჩეულია **დე-სელვა,**

ფაშისტების წინააღმდეგ

დემონსტრაცია

პარიზი. 18 ივნისი. კვირას საფრანგეთის კომპარტია რევოლიუციონური ორგანიზაციების დახმარებით აწყობს დიდ დემონსტრაციას.

საერთო აზრი

პარიზი. 18 ივნისი. პრესა საერთოდ დამაკმაყოფილებლად სთვლის მთავრობის დეკლარაციას.

„**ერ ნოუველ**“ მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას.

„**ლ'იუმანიტე**“ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ სადული და ჰილბო გამორიცხული არიან იმ პირთა სიიდან, რომლებზედაც ვრცელდება ამნისტია.

ამნისტიის მოლოდინში

ამნისტია.

ბერლინი. 20 ივნისი. დეპუტატთა პალატაში შეტანილია კანონ-პროექტი, რომელიც სრულ ამნისტიას ანიჭებს ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთ, რომელნიც დაპატიმრებული არიან 1914 წლის შემდეგ.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებაა.

პარიზი. 20 ივნისი. დეპუტატთა პალატამ 313 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 284 ხმისა ნდობა გამოუცხადა მთავრობას, რომელიც ატარებს არჩევნების დროს გათვალისწინებულ პოლიტიკას.

დეპუტატთა პალატამ თანაგრძნობის მიმართვა გაუგზავნა იტალიის პარლამენტს მატტეოტის დაკარგვის გამო.

კამათის დროს კენჭის ყრამდე გაიმართა გაცხარებული კამათი კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის.

საიდუმლო თათბირი

ერრიოს თათბირი.

პარიზი. 20 ივნისი. ერრიომ გამართა თათბირი ელჩთა კონფერენციის, რეინლანდის კომისიის და სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარეებთან. პრესა ფიქრობს, რომ **თათბირის მიზანი იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა ერრიოს და მაკდონალდის მომავალ შეხვედრის შესახებ.**

ერრიო—მაკდონალდი.

ბერლინი. 20 ივნ. საფრანგეთის ელჩმა ლონდონში სენტოლერმა გადასცა ერრიოს მაკდონალდის სალამი.

რომი. 20 ივნისი, პარიზსა და ლონდონს შორის მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. 21 ივნისს ერრიო მიემგზავრება ინგლისში მაკდონალდთან სათათბიროთ, რის შემდეგ ჩავა ბრიუსელში ტენისთან და გიმანსთან სათათბიროთ.

ბერლინი. 20 ივნ. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად ერრიოს და მაკდონალდის თათბირს ექნება საიდუმლო ხასიათი. თათბირზე არ დაესწრებიან საფრანგეთის და ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები.

ძველი საფრთხობელა

ერრიოს ულოცავენ.

პარიზი. 18 ივნისი. ერრიომ მიიღო ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმანსი, რომელმაც გადასცა მას თავისი საუბარი მაკდონალდთან. შემდეგ ერრიომ მიიღო ლორდი პარმური, რომელმაც მიულოცა მას პრემიერათ არჩევა.

შაბათს ერრიო მიემგზავრება ლონდონში, იქიდან კი ბრიუსელში.

გერმანიით აშინებენ.

პარიზი. 18 ივნისი. „მატენ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს, ერრიომ აღნიშნა, რომ გენერალი ნოლლე გერმანიის სამხედრო მდგომარეობის კარგი მცოდნეა. **შემდეგ ერრიომ აღნიშნა, რომ ისე, როგორც ასი წლის წინათ—ტილზიტის ზავის შემდეგ, ისე ახლაც გერმანიაში სწარმოებს ახალგაზრდობის სამხედრო გაწვრთნა, გერმანია თანდათანობით აღდგენს თავის სამხედრო ძალას. საფრანგეთი შეეცდება** დაეხმაროს გერმანიის დემოკრატიას, **მაგრამ** ულმობელი იქნება **გერმანიის** რეაქციის მიმართ.

მსოფლიო ფაშიზმის სამარცხვინო გახრწნა

იტალიაში ხდება ფაშისტების საწინააღმდეგო დემონსტრაციები

დამტკიცდა, რომ ფაშისტებმა მოჰკლეს დეპუტატი-სოციალისტი

საფრანგეთში და ინგლისში აღშფოთება გამოიწვია ფაშისტების ახალმა ტერორმა

მატტეოტი ფაშისტებმა მოჰკლეს

რომი. 20 ივნისი. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის კორესპონდენტი რომიდან იუწყება:

„სკანდალმა ფაშისტურ წრეებში, რომლებსაც წილი უდევთ მოტტეოტის მოკვლაში, განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია გუშინ, როცა დააპატიმრეს პოლკოვნიკი ჯოვანი მარინელი. მარინელს ბრალდება წაქეზება მატტეოტის დაპატიმრებისათვის.

მარინელი, ფაშისტური პარტიის დაარსების დღიდან, ფაშისტურ მოძრაობას ედგა სათავეში და პარტიის ადმინისტრატიული მდივანი იყო. მარინელი მუსოლინის პირადი მეგობარია. მას მინიჭებული აქვს „საპატიო კაპრალის“ სახელწოდება—უმაღლესი ჯილდო ფაშისტურ მილიციაში.

რომი. 20 ივნისი. მარინელი დააპატიმრეს ავსტრიის ქვეშევრდომის ოტტო ბიროლეის ჩვენებით. ბიროლმა დაპატიმრების დროს განაცხადა, რომ დუმინი, რომელსაც ბრალს სდებენ მატტეოტის გატაცებაში, ხშირად სთხოვდა მას, ბიროლს, ცნობებს მთავრობის წრეებში არსებული განწყობილების შესახებ. რამდენიმე კვირის წინათ დუმინიმ დაავალა ბიროლს, თვალყური ედევნებია მატტეოტისათვის.

ავსტრიელმა იგრძნო, რომ მატტეოტის წინააღმდეგ რაღაცას ამზადებდენ და გააფრთხილა მატტეოტის მეუღლე, რომელმაც, როგორც სჩანს, ყურადღება არ მიაქცია გაფრთხილებას.

ბიროლმა განაცხადა, რომ ის დააპატიმრეს ნეაპოლში, მაგრამ მარინელის ბრძანებით გაანთავისუფლეს. ამ ფაქტმა აფიქრებინა პოლიციას, რომ მარინელი მონაწილეობას იღებდა მკვლელობაში.

გვამი კიდევ ვერ იპოვეს.

რომი. 20 ივნისი. დაპატიმრებულმა ბიროლმა განაცხადა, რომ **მატტეოტი გაიტაცეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ მისთვის სიტყვა წარმოეთქვა ფაშისტების წინააღმდეგ.** დეპუტატის გვამი დამალული უნდა იყოს ნეაპოლის ახლო ერთ-ერთ ბინაზე. მაგრამ ნაჩვენებ ადგილას ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. ფიქრობენ, რომ მატტეოტის გვამი გადააგდეს ტბაში, რომ არ ენახათ.

გამოძიება რა საჭიროა..

რომი. 20 ივნისი, პარლამენტის ფაშისტურმა უმრავლესობამ უარი სთქვა სპეციალური კომისიის დანიშვნაზე მატტეოტის მოკვლის საქმის გამოსაძიებლათ.

პარლამენტის პრეზიდიუმს განზრახვა აქვს შეადგინოს შერეული კომისია, რომელშიც ოპოზიციის წარმომადგენლებიც შევლენ. ამ ნაბიჯის გადადგმას აპირებენ მუსოლინის გავლენით, რომელმაც გადასწყვიტა „ნათელი მოჰფინოს“ ამ საქმეს.

გაფიცვები პროტესტის ნიშნათ

რომი. 18 ივნისი. რომში და სხვა ქალაქებში მატეოტის მოკვლის გამო დაიწყო გაფიცვები. გაზეთების ცნობით, რომში მღელვარებისათვის „ხელის შესაშლელათ“ **დააპატიმრეს 70 კომუნისტი. მუშათა შესაკრებ ადგილებში ჯარები დგას. რეფორმისტები** და ბურჟუაზიული **ოპოზიციონური ჯგუფები მოუწოდებენ მუ**შებს თავი შეიკავონ **გაფიცვისაგან.**

მუსოლინის მუქარა

რომი. 20 ივნ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის თანამშრომელი იუწყება:

„მდგომარეობა გართულდა. რომში გაიმართა სოციალისტური დემონსტრაციები. კომუნისტებმა გამოაქვეყნეს მოწოდება საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. მაგრამ რომი გავსებულია შავბლუზიანებით (ფაშისტური ბანდებით), **გარდა ამისა რომში თავს უყრიან ჯარებს,** ამიტომ რაიმე სერიოზული გამოსვლების მოწყობა შეუძლებელი იქნება.

გუშინ ოპოზიციონური პარტიების თათბირზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომ მკვლელობის გარემოების გამოსარკვევად საჭიროა მხოლოდ „კონსტიტუციონური საშუალებებით ბრძოლაო. მაგრამ „კონსტიტუციონური ზომების“ მიღებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ **მუსოლინი პარლამენტს დათხოვნით ემუქრება. პარლამენტის დათხოვნა კი ნიშნავს მთელი ძალაუფლების ფაშისტებისათვის ჩაგდებას ხელში.**

ფაშისტური გაზეთის დახურვა.

ბერლინი. 20 ივნისი. ფაშისტური პარტიის ორგანომ „კორიერე იტალიანომ“ დროებით შეაჩერა **გამოსვლა.**

მთავარი ორგანიზატორი.

რომი 20 ივნისი. იტალიის **სასამართლოს** წრეებში ფიქრობენ, **რომ** საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ალდო ფინელი არ არის **დამნაშავე** მკვლელობაში.

მატეოტის მკვლელობაში **მთავარი** დამნაშავენი არიან ჩეზარე როსსი **და** მარინელი.

ტერორის პოლიტიკა.

ბერლინი, 20 ივნისი. იტალიის პოლიციის მიერ შეკრებილი ცნობებით, მატეოტი მოკლულია.

მკვლელობა ყველაზე უდიდესი აქტია ტერორის იმ პოლიტიკაში, რომელსაც **მუსსოლინი აწარმოებს. ასეთი აქტებია: ყოფილი პრემიერის ნიტის ბინის გაძარცვა, ფაშისტების ტერორი ჩრდილოეთ იტალიაში და თავდასხმა ოპოზიციის ლიდერ ამანდოლაზე.**

ტერორისტული ორგანიზაციის სულისჩამდგმელია ჩეზარე როსსი, ალმასრულებელი-დუმინი, რომელსაც ბრალი ედება მატეოტის მოკვლაში.



პუანკარე მილიერანი

შარჟები მოთავსებული „ლიუმანიტე“-ში (საფრანგ. კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში).

ფაშიზმის კრიზისი

პრესის დეპარტამენტის უფროსის გაქცევა.

პარიზი 20 ივნისი. რომის გაზეთების ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესის დეპარტამენტის უფროსი რომიდან გაიქცა.

ფაშისტური დემონსტრაციები.

პარიზი 20 ივნისი. რომში გაიმართა ფაშისტური დემონსტრაციები.

რომი 18 ივნისი. იტალიის კომპარტიის ცეკა იღებს, რა მხედველობაში ზოგიერთ ქალაქებში მომხდარ ხტიქიურ აჯანყებებს და საპროტესტო გაფიცვებს, რაც მოწმობს იმას, რომ პროლეტარიატი მზადაა ბრძოლისათვის, წინადადებას აძლევს მაქსიმალისტებს და რეფორმისტებს გააერთიანონ ძალები ფაშისტურ მთავრობის დასამხობად. კომპარტია ფიქრობს, რომ ფაშიზმს მოელის დამარცხება, რადგან არავითარი ნიშნები არ არის მისი გაერთიანებისათვის. რეფორმისტები დარწმუნებული არიან, რომ დღევანდელი კრიზისიდან ფაშიზმი გამოვა დასუსტებული და მაშინ საჭირო იქნება ნდობის სამინისტროს მოწყობა, რომელშიაც ისინი ფიქრობენ მონაწილეობის მიღებას.

ფაშისტური გაზეთი „იმპერდი“ ბრალს სდებს ფაშისტებს იმაში, რომ მათ გამოიწვიეს ანტიფაშისტური კამპანია მატტეოტის მოკვლის გამო. გაზეთი სწერს: „მოახლოვებულ სერიოზულ კონფლიქტის დროს (რამდენიმე სიტყვა დამახინჯებულია...) ფილოფაშისტები იმეორებენ პილატეს საქციელს“.

„პოპოლო“ აღწერს ფილიპპელის დაპატიმრებას და იხილავს სხვადასხვა დოკუმენტებს, რომელიც ადასტურებენ მატტეოტის მოკვლას. გაზეთი იძლევა კითხვას, რატომ ჩაუვარდა ხელში ეს დოკუმენტები პოლიციას და არ გადასცა გაუხსნელად სასამართლო უწყებას.

საფრანგეთი უკმაყოფილოა

პარიზი. 18 ივნისი. საფრანგეთის პრესაში დიდი განგაშია ატეხილი მატტეოტის მოკვლის გამო. ოფიციალური პრესაც კი აღშფოთებულია და აღნიშნავს, რომ მკვლელობა გამოიწვევს იტალიის პოლიტიკურ რეჟიმის შეცვლას. ფიქრობენ, რომ ერთფეროვანი ფაშისტური მთავრობა შეცვლილი იქნება კოალიციონურით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ბურჟუაზიული ოპოზიცია. საფრანგეთსა და იტალიის შორის სატელეფონო კავშირის შეწყვეტის და დ'ანუნციოს ორდენის წევრთა ყრილობა ადასტურებს მდგომარეობის გართულებას. **საფრანგეთის სოციალისტები და შრომის საყოველთაო კონფედერაცია (რეფორმისტული) მართავენ საპროტესტო მიტინგს.**

ინგლისში აღშფოთებული არიან

ლონდონი. 18 ივნისი. ინგლისის ტრედუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ და მუშათა პარტიის აღმასკომმა დეპეშები გაუგზავნეს მუსოლინის, მატტეოტის ქვრივსა და იტალიის სოციალისტური პარტიის აღმასკომს. დეპეშებში გამოთქმულია აღშფოთება მატტეოტის მოკვლის გამო. დეპეშებში ნათქვამია რომ ინგლისის მუშები პასუხისმგებლობას მატტეოტის მოკვლის გამო აკისრებენ ფაშიზმის ბელადებს.

ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დადგენილება.

ლონდონი. 18 ივნ. ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა ღრმა აღშფოთება გამოსთქვას მატტეოტის მოკვლის გამო. საპარლამენტო ფრაქცია თანაგრძნობას უცხადებს იტალიის სოციალისტურ პარტიას და აღუთქვამს მას დახმარებას იმ ძალებთან ბრძოლაში, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ დემოკრატიის პრინციპებს.

ლონდონის კონფერენცია

„საბჭოთა დელეგაცია არავითარ პროპაგანდას არ აწარმოებს ინგლისში“.

უნდათ საფრანგეთის ჩათრევა.

ლონდონი. 18 ივნისი. გაზეთების ცნობით, რაკოვსკის მეორე თათბირი რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეებთან გადადებულია მომავალი კვირისათვის. ფასიან ქაღალდების მეპატრონეები რაკოვსკის მემორანდუმს უფრო რთულად სთვლიან, ვიდრე ამას მოელოდენ და ამჯობინებენ სხდომის გადადებას იმ ციფრის გამორკვევამდე, რომლის მიღებაზედაც ისინი თანახმანი არიან.

„დეილი ტელეგრაფი“, რომელიც გამოხატავს თეთრგვარდიელთა წრეების იმედებს, ფიქრობს, რომ **ერრიო მაკდონალდთან თათბირის დროს განიხილავს საკითხს ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე საფრანგეთის მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ.** თუ ეს არ მოხერხდა, კონფერენციის მუშაობა შესწყდება მანამ, სანამ არ იქნება მიღებული შეთანხმება რუსეთის საკითხში.

მაკდონალდის პასუხი.

ლონდონი. 18 ივნ. უპასუხა რა შეკითხვაზე თემთა პალატაში, მაკდონალდმა განაცხადა, **რომ მთავრობას არ განუხილავს და არც ფიქრობს განიხილოს საკითხი საბჭოთა კავშირის ვალდებულებათა რაიმე გარანტიების შესახებ. პრემიერმა განაცხადა, რომ არ ყოფილა არავითარი ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ სწარმოებს კომუნისტური ან სხვა რაიმე პროპაგანდა ინგლისის დაწესებულებათა და კანონების წინააღმდეგ,** და რომ ამ პროპაგანდას აწარმოებდენ საბჭოთა დიპლომატიის ან სავაჭრო დელეგაციის წევრები და მათი თანამშრომლები.

უპასუხა რა შეკითხვაზე ბესარაბიის საზღვრებზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ, მაკდონალდმა განაცხა, რომ მას არაფერი არ შეუძლია სთქვას ამის შესახებ და დასძინა, რომ ბრიტანეთის მახლობელ აგენტებისაგან გამოთხოვილია საჭირო ცნობები.

იმპერიალისტების წინააღმდეგ

პეკინი, 20 ივნისი ჩინეთის პარლამენტის 186 წევრმა გამოაქვეყნა პროტესტი დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში. განცხადებაში ნათქვამია: საბჭოთა კავშირისა და ჩინეთს შორის შეთანხმება შედეგია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ერების ბრძოლის დიდი სახელმწიფოების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იმპერიალიზმი მუდამ არღვევდა ჩინეთის სუვერენულ უფლებებს. იმპერიალისტური სახელმწიფოები გრძნობენ, რომ ჩინეთის დიპლომატიამ აიღო ახალი კურსი, რომელიც არ არის ხელსაყრელი მათთვის. იმპერიალისტები ცდილობენ რაიმე საშვალებით ხელი შეუშალონ ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებას. **იმპერიალისტები ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩინეთის დაახლოებას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ამას ისინი ვერ მოახერხებენ.**

ტერორი რუმინეთში

პროტესტი ტერორის წინააღმდეგ.

ვენა. 19 ივნისი. დაპატიმრებულ ობერ-ლეიტენანტის მურავსკის მიერ ჩადენილი მასიური მკვლელობანი აღშფოთებას იწვევენ ბესარაბიის პოლიტიკურ წრეებში. პარლამენტის ბესარაბიელ დეპუტატებს პარტიულ სხვადასხვაობის განურჩევლათ გადაწყვეტილი აქვთ პროტესტი განაცხადონ ბესარაბიაში მძვინვარე ტერორის წინააღმდეგ და გამოაქვეყნონ მთავრობის ბოროტმოქმედებათა მამხილებელი საბუთები.

იშლებიან.

ვენა. 19 ივნისი. რუმინეთის ნაციონალურ და გლეხთა პარტიების გაერთიანებამ დაშლის პროცესი გამოიწვია ორივე პარტიაში. ნაციონალურ პარტიის რამოდენიმე კონსერვატიულათ განწყობილმა წევრებმა თავი დაანებეს გაერთიანებულ პარტიას. გლეხთა პარტიის მემარცხენე ფრთის 200-ოდე წევრი უკმაყოფილონი არიან გაერთიანებით. უკმაყოფილებას განსაკუთრებით აძლიერებს ის გარემოება, რომ გლეხთა პარტიის რადიკალური ლიდერი არჩეული არ იქნა პარტიის დროებითი პრეზიდიუმში.

ჩვენ და უცხოეთი

დაიდვა საფოსტო ხელშეკრულება ფინეთთან

გამოფენაზე ლატვიაში საბჭოთა პავილიონი საერთო ყურადღებას იპყრობს.

ჩვენი და ჩინეთის მეგობრობა განმტკიცდა

ლატვია

რეველი. 20 ივნისი. საბჭოთა პავილიონი რეველის გამოფენაზე დიდ ინტერესს იწვევს და სავსეა მნახველებით. საქმიანი წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი პურისადმი, მინერალური წყლებისადმი და სხვ.

ფინეთი

ჰელსინგფორსი. 20 ივნისი. საბჭოთა კავშირისა და ფინეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სარკინისგზო, საფოსტო და სატელეგრაფო კონვენციას.

ჩინეთი.

ბერლინი. 20 ივნისი. ჩინეთის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, რომ შეთანხმება საბჭოთა კავშირთან დამტკიცებული არისო.

ჩინეთის მთავრობა ნოტაში შეერთებული შტატების, იაპონიისა და საფრანგეთის მთავრობების სახელზე აცხადებს, რომ **საკითხი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ მხოლოდ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შინაური საკითხია. სხვა სახელმწიფოების ჩარევა ამ საკითხში დაშვებული არ იქნება, რადგან მათ არა აქვთ არავითარი უფლება ამ რკინის გზაზე..**

ბელგია.

ვენა. 18 ივნისი. ბენტში გამართულ საერთაშორისო კოოპერატიულ გამოფენაზე საბჭოთა კავშირის განყოფილება იპყრობს საყოველთაო ყურადღებას. გაზეთი „წითელი დროშა“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა განყოფილებაში ლენინის სახელობის დარბაზი ახდენს ძალიან დიდ შთაბეჭდილებას მუშებზე: მუშები აშკარად ხედავენ განსხვავებას საბჭოთა კოოპერაციასა და სხვა ქვეყნების წმინდა ვაჭრულ კოოპერაციის შორის.

ლიტვა.

რიგა, 18 ივნისი. ლატვიის პრესა აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირში ტყის კონცესიების აღების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს. ლატვიის ბრუნეელები დაკმაყოფილებელი არიან ტყის საექსპლოატაციო არეს გაფართოებით.

ამერიკის კაპიტალი გერმანიაში

შეთანხმებელი პარიზში.

რომი, 20 ივნისი. პარიზში ჩავიდა გერმანელი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ბრეიტშეიდი. უკანასკნელს თათბირი ექნება ერრიოსთან.

სარეპარაციო კომისიაში.

ბერლინი, 20 ივნისი. გენერალ ნოლლეს მემკვიდრედ სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასახელებენ გენერალ დიუპონს.

საფრანგეთის ელჩის გამგზავრება.

ბერლინი, 20 ივნისი. „ჟურნალ“-ის ცნობით საფრანგეთის ელჩი ბერლინში დე-მარჟერი გაემგზავრა პარიზში მოხსენების გასაკეთებლად. გავრცელდა ხმები, რომ ის ინიშნება ელჩად რომში.

მემარჯვენე პრესა ერრიოს კაბინეტის შესახებ.

რომი. 20 ივნისი. ბერლინის მემარჯვენე გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ ერრიოს დეკლარაციას და უწოდებენ მას „პუანკარეს პოლიტიკის გაგრძელებას“. მაგრამ გაზეთები იმედსაც გამოსთქვამენ, რომ დაპირება რურის დაცლის შესახებ შესრულებული იქნება საფრანგეთის მთავრობის მიერ.

გაზეთები მოითხოვენ ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლების აღდგენას დაკავებულ რაიონებში.

განზრახული აქვს...

პარიზი. 20 ივნისი. „ეკო დე პარი“-ს ცნობით, შტრეზემანს **განზრახული აქვს** სთხოვოს ერრიოს სისწორით გამოარკვიოს რურის ევაკუაციის დატა.

ამერიკის კაპიტალი გერმანიაში.

ბერლინი. 20 ივნისი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, ამერიკის კაპიტალის ძალიან დიდი რაოდენობა დაბანდებულია გერმანიის წარმოებაში.

ლონდონიდან მიღებული ცნობით, ნიუ-იორკის ნაციონალური „სიტი-ბანკ“-ი და ამერიკის სხვა მსხვილი ბანკები არჩევენ საკითხს ბერლინში თავიანთ განყოფილებების გახსნის შესახებ; ამ განყოფილებებმა საკრედიტო ოპერაციები უნდა აწარმოვონ გერმანიის მრეწველობასთან.

პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ

ლაპარაკობენ გადადგომის შესახებ.

ვარშავა 19 ივნისი. სეიმის გარეშე საქმეთა კომისიაში „ვიზვოლენიას“ ბელადი ცუგუტი და პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მეთაური ნეძიალკოვსკი **აკრიტიკებენ გარეშე საქმეთა მინისტრს ზამოისკის და აყენებდენ საკითხს ნდობის შესახებ.** კენჭის ყრის დროს ზამოისკიმ შემთხვევით მიიღო ხმების უმრავლესობა. (5 ხმით), ვინაიდან კენჭის ყრის დროს არ იყვენ დარბაზში 10 ბელორუსი და უკრაინელი. ლაპარაკობენ ზამოისკის გადადგომის შესახებ.

კამათი სეიმში.

ვარშავა. 19 ივნისი. საგარეო პოლიტიკის გარშემო გამართულ კამათში სტრონსკი უპასუხებდა დემბსკის და ნეძიალკოვსკის, რომლებიც ბრალს სდებდენ ზამოისკის. მან განაცხადა: **„ზამოისკი, მემარცხენეების სიტყვით, უვარგისია.** განა გონიერება გამოიჩინა დემბსკიმ, როცა ხელი მოაწერა რიგაში ოქმს, რომლის თანახმად პოლონეთის 50 მარკა გაუთანაბრეს რუსულ ომის წინა დროის მანეთს საბჭოთა კავშირის და პოლონეთის შორის ანგარიშების გასწორების დროს?

როდესაც ზამოისკი ხელშეკრულებას სდებდა საფრანგეთთან, რომელი ხელშეკრულებაც საფუძვლად დაედო პოლონეთის საგარეო პოლიტიკას, დემბსკი ხელს აწერდა პეტლიურასთან დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებას. ტყუილად ლაპარაკობს მეორე ინტერნაციონალი (რომელსაც პოლონეთის სოციალისტური პარტია ეკუთვნის) საერთაშორისო სოლიდარობის შესახებ. ევროპის ომის შემდეგ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის ერთად-ერთი მატარებელი არიან კომუნისტები.

საავადმყოფო კასის არჩევნები

ვარშავი. 19 ივნისი. საავადმყოფო კასის არჩევნებზე ვარშავის მაზრაში 35 დეპუტატიდან არჩეულია ქრისტიანული დემოკრატი—13, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი—10, კომუნისტი 6, ბუნდოველი—6.

ეშინიათ...

ვარშავა. 19 ივნისი. პოლონეთის სეიმში დამთავრდა საერთო დისკუსია ბიუჯეტის შესახებ, სეიმი გადადის ცალკე სამინისტროების ბიუჯეტების განხილვაზე პირველ რიგში განხილული იქნება სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი, რომელსაც სჭირდება ფაქტიურად მთელი ბიუჯეტის 50 პროცენტი. **ამ ჟამად არც ერთი პარტია გარკვეულად არ იჩენს თავის წინააღმდეგობას ან მომხრეობას გრაბსკის მთავრობისადმი,** რადგანაც ვერ ბედავს მთავრობის კრიზისის გამოწვევას და ვერც პასუხისმგებლობას გრაბსკის პოლიტიკისათვის. **გრაბსკის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს მხოლოდ კომუნისტებმა და ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებმა.** ბელორუსები და უკრაინელები მოითხოვდენ დამოუკიდებლობას და პლებისციტს და ემხრობოდენ მათი ოლქების საბჭოთა რესპუბლიკებთან შეერთებას.

ჯარისკაცები ძარცვავენ მოსახლეობას.

ვარშავი, 19 ივნისი. სტოლპეცკის მაზრის გლეხებმა მიმართეს პოლონეთის სეიმის ბელორუსიის კლუბს თხოვნით, რომელშიაც **მოითხოვენ დაცვას მაზრაში დაბანაკებულ ჯარებისაგან, რომლებიც ძარცვავენ და აწიოკებენ მოსახლეობას.**

კოოპერატიული ყრილობა.

ვარშავა. 19 ივნისი. შესდგა კლასობრივი კოოპერატიული ორგანიზაციის ყრილობა 100 დელეგატის მონაწილეობით. პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრების წინადადებით, ყრილობამ ხმის უმეტესობით დაადგინა გაერთიანებულ იქნეს მუშათა კოოპერატიული კავშირის საბითუმო საწყობები ბურჟუაზიულ კოოპერატივებთან.

ჩინეთი და ამერიკა

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა.

ნიუ-იორკი. 28 ივნისი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ამერიკის ელჩმა პეკინში მიიღო ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ველინგტონ-კუსაგან ნოტა, რომელიც ამავე დროს გადაეცა იაპონიის და საფრანგეთის ელჩებს. ნოტა ადასტურებს ამერიკის ელჩის ნოტის მიღებას. ამ ნოტაში მოყვანილი იყო ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის შესახებ. გარდა ამისა წინადადება ეძლეოდა ჩინეთს დაეცვა გზის კრედიტორების უფლებები და სახეში ჰქონოდა თავისი პასუხისმგებლობა.

საპასუხო ნოტაში ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ გზით დაინტერესებული არიან ჩინეთი და საბჭოთა კავშირი. ჩინეთს და საბჭოთა კავშირის შორის მომხდარ შეთანხმებამდე ვაშინგტონის კონფერენციას შეეძლო ელაპარაკა ჩინეთის პასუხისმგებლობაზე, ეხლა კი მდგომარეობა შეიცვალა მომავალში ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მთავრობები ერთად გადასწყვეტენ გზის საკითხებს.

ნოტა აცხადებს, რომ ჩინეთს და საბჭოთა კავშირის შორის მიღწეული შეთანხმება არ არღვევს სხვა სახელმწიფოების **უფლებებს,** და ამის გამო არავითარი საფუძველი არ აქვს ამერიკის მთავრობას გადაჭარბებულ მღელვარებას.

კომინტერნის მეხუთე კონგრესი

19 ივნისის სხდომა

კონგრესის დღის წესრიგი

ერთხმათ მიღებულ იქნა კონგრესის დღის წესრიგი: 1. ლენინი და კომინტერნი; 2. მოხსენება კომინტერნის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი **ზინოვიევი**); 3. საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა (მომხსენებელი **ვარგა**); 4, საკითხი პროგრამის შესახებ (მომხსენებლები **ბუხარინი** და **ტალგეიმერი**); 5. საკითხი პროფკავშირების ტაქტიკის შესახებ (მომხსენებელნი **ლოზოვსკი** და **გერცევი**); 6. ეროვნული საკითხი: კომპარტიის პოზიცია ნაციონალურ საკითხში (მომხსენებელნი **მანუილსკი, ვალეცკი** და **ბოშკოვიჩი**); რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთსა და კოლონიებში (მომხსენებელნი როი, **კატაიამა** და **ჩინგი**), ზანგების საკითხი (მომხსენებელნი ამხ. **დონი** და **ტერენი**). 7. პარტიების საორგანიზაციო მშენებლობა, კომინტერნის , წესდება, მუშაობა ქალთა შორის, მუშაობა ჯარში, არალეგალური მუშაობა, 8. საპროპაგანდო მუშაობა, 9. მოხსენება ფაშიზმის შესახებ (მომხსენებელნი **ბოდრიგა** და **ფრეიმუტი**). 10. საკითხი ინტელიგენციის შესახებ (მომხსენებელნი **კლარა ცეტკინ** და **სელიე**), 11. საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა. (მომხსენებელი **რიკოვი**), 12. გლეხთა ინტერნაციონალი (მომხსენებელი **კოლაროვი**), 13. ახალგაზრდათა მოძრაობა. 14. „რემედას“-ის მოხსენება 15. კომინტერნის ცალკე სექციების საკითხები. 16. პროფესიონალური მოძრაობა.

კონგრესის კომისიები.

კონგრესი ამტკიცებს შემდეგ კომისიებს: **ლენინის კომისიას, პოლიტიკურს, საორგანიზაციოს, საპროპაგანდოს, პროფმოძრაობის, ნაციონალურს, კოლონიალურს, ქალთა, ახალგაზრდათა და გლეხთა კომისიებს.**

მარქსის და ენგელსის ხელთნაწერები.

თავმჯდომარის წინადადებით დღის წესრიგში შეტანილია ამხ. რიაზანოვის მოხსენება მარქსის და ენგელსის ახლათ აღმოჩენილ და ჯერ გამოუქვეყნებელ ხელთნაწერების შესახებ.

ამხ. ზინოვიევის გამოსვლა.

დელეგატები ხანგძლივ ოვაციებს უმართავენ ამხ. **ზინოვიევს,** რომელიც ემზადება მოხსენების გასაკეთებლათ კომინტერნის მუშაობისა და ტაქტიკის შესახებ. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან ინტერნაციონალს.

მოხსენება გაგრძელდა 4 საათს. ამხ. ზინოვიევმა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა კომინტერნის ისტორიას და აგრეთვე კომინტერნის შიგნით არსებულ მიმდინარეობათა ბრძოლას, ვრცლათ დაახასიათა საერთაშორისო მდგომარეობა და შეაფასა კომინტერნის ცალკე სექციების მოქმედება.

სხვადასხვა ამბები

— **კომუნისტების გამარჯვება.** ამერიკის ფერმერთა და მუშათა პარტიის ყრილობაზე გაიმარჯვეს კომუნისტებმა.

— **გერმანია და ოსმალეთი.** გერმანიის ელჩმა რწმუნების სიგელი ჩააბარა ოსმალეთის მთავრობას.

— **მკვლელების მთავრობის წინააღმდეგ.** ბულგარეთის გლეხთა პარტიის ლიდერის პეტკოვის დასაფლავებაში აუარებელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. ორატორები პროტესტს აცხადებდენ მკვლელების მთავრობის წინააღმდეგ.

— **პუანკარეს მაგიერობას ასრულებენ.** ინგლისის მთავრობამ სამხრეთ-სლავიის მთავრობას მისცა 300.000 გირ. სტერლინგი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

აღმოსავლეთ სახელმწიფოები.

ბერლინი. 18 ივნისი. საბირჟო წრეების ორგანო „ბერზენ კურიერი“ სთვლის იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების განახლებას აღმოსავლეთის სახელმწიფოების ორიენტაციათ საბჭოთა კავშირზე. „ველტ ამ აბენდ“ ამბობს, რომ მომავალი ეკუთვნის „სამთა კავშირს აღმოსავლეთში“ ე. ი. საბჭოთა კავშირს, იაპონიას და ჩინეთს.

„რემედას“-ის ცეკას გაფართოვებული პლენუმი.

მოსკოვი. 20 ივნისი. გაიხსნა „რემედას“-ის ცეკას გაფართოვებული პლენუმი. პლენუმზე გამოირკვა, რომ „რემედას“-ის წევრთა რიცხვი აღწევს 2 ნახ. მილ. კაცს. წარსული წლის განმავლობაში „რემედის“-ის სალაროში შევიდა 300.000 მანეთი, მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში კი—400.000 მანეთი. უკანასკნელი დროის განმავლობაში დაარსდა „რემედას“-ის ახალი სექციები ნორვეგიაში, დანიაში, იაპონიაში და ჩინეთში.

მოსავალი უკრაინაში.

კიევი. 20 ივნისი. უკრაინის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის ამხ. კლიმენკოს ცნობებით, მოსავალი უკრაინაში, როგორც სჩანს, საშუალოზე ნაკლები არ იქნება, რადგან გვალვას ადგილი აქვს მხოლოდ ცალკე მცირე რაიონებში. მოსავალის შემცირებას დაფარავს დათესილი მიწების სივრცის გადიდება უკრაინაში თითქმის ერთი მილ. დესეტინით.

50 გრად. სიცხე

ურალსკი. 20 ივნისი. სიცხე აღწევს 50 გრადუსს.

მასწავლებლობა ჩვენთან არის.

პსკოვი, 20 ივნისი. პსკოვში საგუბერნიო კომიტეტის სხდომაზე გამოცხადდენ მასწავლებლების წარმომადგენლები, რომლებიც მიესალმენ კომპარტიას. მასწავლებლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან იმუშაონ კომპარტიის ხელმძღვანელობით ახალი ცხოვრების მოსაწყობათ და ისინი უარს ამბობენ წინანდელ შეცდომებზე. საგუბერნიო კომიტეტის მდივანმა განაცხადა, რომ კომპარტია მიიღებს ყველა ზომებს იმისათვის, რომ დაეხმაროს მასწავლებლობას მორალურათ და მატერიალურად.

საბინაო საკითხის მოსაგვარებლად

თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველომ დაამუშავა პროექტი საბინაო კრიზისის მოსაგვარებლად ქალაქში.

პროექტათ გათვალისწინებული ღონისძიებანი.

პროექტათ განზრახულია შემდეგი ღონისძიების მიღება: დაწესებულებათა შემჭიდროებისთვის დაწყებული მუშაობის დამთავრება; სოციალურად მავნე ელემენტების ქალაქიდან გადასახლება უკან დაბრუნების უფლების აღკვეთით; ყოველ მდგმურზე საბინაო მოედნის ნორმის შემცირება 20 კვადრ. არშინამდე.

სახლების ნგრევისგან დასაცავად.

სახლების ნგრევისაგან დასაცავად განზრახულია საბინაო ტარიფის გადიდება, რადგან, არსებული ტარიფი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელი ხდება სახლების ოდნავ შეკეთებაც კი.

საცხოვრებელ ბინების რაოდენობა.

სტატისტიკური ცნობებით, თბილისში აღრიცხულა 100 ათასი საცხოვრებელი. ოთახი, რომელიც შეიცავს 4 მილიონ კვადრატ. არშინს. თუ მოსახლეობის რიცხვს 250.000 ვიანგარიშებთ თვითეულ ოთახზე მოდის 2,3 სული, ხოლო თვითეულ სულზე 16 კვადრატ. არშინი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ახლობელ 5 წელში საცხოვრებელი მოედანი 50 პროცენტით უნდა იქნეს გადიდებული, საჭირო იქნება მომავალ ხუთ წელში დაახლოვებით 30 მილიონი მანეთი,—ე. ი. ყოველწლიურად 6 მილიონი მანეთი. უ. ქ. ს. პროექტით ამ თანხის მიღება განზრახულია სახელმწიფოსგან, შემდეგ სამეურნეო ორგანოებისაგან, თვით მუშებისგან, და დასასრულ, კომუნალურ ორგანოებისგან.

ამ საქმის ორგანიზაციას უ. ქ. ს. ფიქრობს საწარმოო ხასიათის სააქციონერო კამპანიის მოწყობის საშუალებით. მშენებლობა უნდა სწარმოებდეს მუშათა მასების თვითმოქმედების და კოოპერატიულათ გაერთიანების საფუძვლებზე.

საბინაო თათბირი.

ამ პროექტის განსახილველად თბილისის ქალაქის აღმასკომის მიერ 17 ივნისისათვის მოწვეული იყო პარტიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციათა, სამეურნეო ორგანოთა და ქალაქის აღმასკომის წარმომადგენელთა თათბირი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(20 ივნისი)

1 ჩერვონეცი	125 მილიარ.
გირ. სტერ ეფექტ.	8 მ. 38 კ.
„ „ ჩეკები	7 მ. 60 კ.
დოლარი ეფექტ.	1 მ. 94 კ.
„ „	1 მ. 78 კ.
ოსმ. ქაღ. ლირა ეფ.	1 მ. —
იტალ. ლირა 100 ც.	8 მ. —
ფრანკი ფრანგ. 100 ც.	9 მ. 50 კ.
სატრან. სერტიფიკატ. (5 მან.)	5 მ

სააღმშენებლო მასალათა ქარხნები.

ქსნის აგურ-კრამიტის ქარხანა.

ქსნის კრამიტის ქარხანა რეგულიარულად მუშაობს. აპრილში გამომუშავებულია 111,766 ნაჭერი (წინა თვეში შემუშავებული იყო 101308 ნაჭერი). საწარმოო პროგრამა შესრულებულია 100 პროც. გაცილებით. აღებულია ახალი შეკვეთა 400.000 ცალი კრამიტზე „აზნეფტ“-ისათვის. საერთოდ, ქარხანა მრავალი შეკვეთებით და მოთხოვნილებებით უზრუნველყოფილია რამოდენიმე თვით.

კირის ქარხანა ქუთაისში.

1 აპრილიდან ქარხანაში დაიწყო დამზადებული კირის რეალიზაცია და აგრეთვე კირის გამოწვა. აპრილში დამზადებულია 12338 ფუთი, რომელიც მთლად გასაღებულია, ისე რომ პირველ მაისისთვის ქარხანაში დამზადებული კირი აღარ დარჩა.

გაყიდული კირის გარდა მიღებულია რამდენიმე შეკვეთა როგორც კერძო პირებისაგან, ისე ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებებიდან და კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან.

კერძო წარმოების მოქმედების საწინააღმდეგოდ ქარხნების სამმართველომ დაუწია ფასი თავის ნაწარმოებზე 28 კაპეიკიდან 27 კაპეიკამდე.

აგურის ქარხანა ვაკეში

ქარხანამ დაიწყო რეგულიარული მუშაობა 15 აპრილიდან და ამ რიცხვიდან დაწყებული 1 მაისამდე დაამზადა სულ 64,805 ცალი აგური. მოთხოვნილება აგურზე თანდათან იზრდება.

გაჯის წარმოება

აპრილის თვის განმავლობაში დამზადებულია 8,000 ფუთი გაჯი რკინის გზის სამმართველოსთვის და 2,000 ფუთი—ზემო ავჭალის ჰიდროსადგურის კომიტეტის საჭიროებისათვის.

თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟა

საქონლის მიწოდება

ასანთი „სამოლიოტ“, ახალი ტომრები სელისა, სახურავი რკინა 2 ხარ., შაქარი რაფ. და ფხვნილი, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, „მილომაზ“-ის პროდუქცია, მზესუმზირას ზეთი (ცისტერნით), სალომასი, პორტლანდიის ცემენტი, შაბიამანი, საპონი როსტოვის სახელმწ. ქარხნებისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუტ ფიშერ

ხელმძღვანელი გერმანიის კომპარტიის ყოფ. მემარცხენე ფრთის, დღეს ერთი ბელადთაგანი პარტიის. დეპუტატი რეიხსტაგში და კომფრაქციის პრეზიდიუმის წევრი. გერმანიის კომპარტიის დელეგაციის წევრი ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესზე.

მოთხოვნილება:

მატყლი („მერინოსი“), პურის ფქვილი „რაზმოლ“, ხორბალი, ნედლი აბრეშუმი, შაქარი რაფ. და ფხვნილი, რუს. მანუფაქტურა, სალომასი, საპონი როსტოვის და კრასნოდარის, პორტლანდიის ცემენტი, ნარმა, მიტკალი.

პურეული ბაზრის განწყობილება

პურეულის ბაზარზე თბილისში განწყობილება ჯერ-ჯერობით მტკიცეა. შემჩნეულია პურზე ფასების აწევის ტენდენცია წინა-კავკასიაში (ყუბანის რაიონი), რაც დაკავშირებულია გვალვის გამო მოსალოდნელ მოუსავლიანობასთან.

კოოპერაცია

ა|კ. კოოპერატიულ ორგანიზაციათა დათვალიერება

(ა|კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინასწარი მასალებით)

ა. კ. კოოპერატიულ ორგანიზაციათა დათვალიერება და ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობათა კალენდარული გეგმის (აპრილ-სექტემბრის პერიოდი) გატარება ერთ და იმავე დროს ხდება.

ამ გეგმის მიზანია გააუმჯობესოს სახელმწიფო აპარატი და ამავე დროს გამოარკვიოს სახელმწ. ორგანოებსა, სავაჭრო-სამრეწველო წარმოებებსა და კოოპერაციას შორის არსებული ურთიერთობა და, რაც მთავარია, სოფლის ქალაქთან დაკავშირების საკითხი.

ა. კ. კოოპერაციის დათვალიერება, რომელიც მიმდინარე წლის მარტში დაიწყო, ტარდება ა. კ. მუშ. გლეხ. ინსპექციასთან შექმნილ სპეც. კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან ს. რ. პ. კ. ც. ს. ა. კ. ბიუროს და ა. კ. „ცენტრო-სოიუზი“-ს წარმომადგენელი და რომელსაც თავმჯდომარეობს ა. კ. მუშ. გლეხ. წარმომადგენელი (ასეთივეა შემადგენლობა ცალკე რესპუბლიკებში მომქმედი კომისიებისა).

ხელმძღვანელობისათვის და ინსტრუქციების უშუალოდ მისაწოდებლად რესპუბლიკანურ კომისიების განკარგულებაში მივლინებული არიან გამოცდილი ინსტრუქტორები და გაგზავნილია მუშაობის პროგრამები გეგმითურთ, საანკეტო ფურცლები საანგარიშო ბლანკებით, ბარათებით და ცხრილებით.

დაბალი საფეხურის კოოპერაციის დასათვალიერებლად წარმოებულ ტექნიკურ მუშაობისათვის გამოყენებულია კოოპერატიულ კავშირების ინსტრუქტორები და მასალების დამამუშავებელი სტატისტიკური აპარატები.

ამ ჟამად კოოპერატ. ორგანიზაციების დასათვალიერებლად წარმოებული მუშაობა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. მთელი მასალები დაგროვილა ა. კ. მუშ. გლეხ. ინსპექციასთან არსებულ ცენტრალურ კომისიაში, სადაც ცნობების დასამუშავებლად, ჯამების და დასკვნების გასაკეთებლად, ცხრილების და დიაგრამების შესადგენად სასწრაფო მუშაობა სწარმოებს.

ამ მუშაობასთან ერთად პარალელურად კომისია ამუშავებს, როგორც ცალკე რესპუბლიკების, ისე ა. კ. ფედერაციის კოოპერატიულ ორგანიზაციების ქსელის და მოქმედების სქემატიურ გეგმას.

კოოპერაციის ყველა სახის და საფეხურის ორგანიზაციის დათვალიერებიდან მიღებული მასალები იძლევიან სრულ წარმოდგენას მათ მდგომარეობაზე და შესაძლებელს ხდის კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებას. უკანასკნელი პერიოდის ცნობების წინანდელთან შედარება გვიჩვენებს, რომ კოოპერაციამ უკანასკნელ ხანებში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ იმ მხრივ, რომ გაადიდა საქონლის ბრუნვა და საგრძნობლად გააფართოვა დაბალი საფეხურის კოოპერატივთა ქსელი.

საგლეხო სესხი

როგორ ეგებება ჩვენი გლეხობა საგლეხო სესხის გავრცელების საქმეს

(მანგლისის რაიონი)

პრაქტიკა და მეცნიერება გვეუბნება, რომ ყოველი შინაური სესხის რეალიზაცია მით უფრო წარჩინებით ჩატარდება, რამდენათ ის უფრო შეფარდებულია: 1) ხალხის პოლიტიკურ განწყობილებასთან, 2) იმ დროსთან, როცა ხალხს მოეპოვება უფრო მეტი თავისუფალი ფული და 3) რამდენათ უფრო აშკარაა ხალხისათვის სესხის სარგებლიანობა; თუ ყველა ამ პირობებთან სრულებით შეფარდებულია ამა თუ იმ სესხის გამოქვეყნება და რეალიზაცია, მისი წარჩინებით ჩატარება ყოველთვის უზრუნველყოფილია.

რა მდგომარეობაშია ამ მხრივ იმ საგლეხო სესხის რეალიზაცია, რომლის კამპანია ეხლა მიმდინარეობს საქართველოს სოფლებში,—ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა ის, რაც მოხდა მანგლისის რაიონში 15 ამა ივნისს.

14 ივნისს თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. მინასიანმა გადასცა ტელეფონოგრამით განკარგულება მანგლისში, რათა ადგილობრივად მოეწვიათ საერთო კრება გლეხობისა მეორე დღის დილის 11 საათისათვის, ამ კრებაზე უნდა გაეკეთებია მას სხვასთან ერთად სათანადო მოხსენება საგლეხო სესხის შესახებ და მასთანვე გაევრცელებია მათ შორის ამ სესხის ბილეთები, ხოლო ადგილობრივ, მანგლისში ეს განკარგულება ვერ გაეგოთ სისწორით და როცა მივედით მანგლისში, შევიტყვეთ, რომ კრების მოწვევაზე იქ სულაც არ უფიქრიათ. ჩვენ მივიღეთ ზომები, რათა სალამოსათვის მაინც მომხდარიყო გლეხთა კრება, მაგრამ ვინაიდან ძალიან დაგვიანებით გაიცა განკარგულება, მანგლისის და მისი ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები კი წასული იყვნენ სხვადასხვა საოჯახო საქმეებზე. კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ 20—25-მდე გლეხი.

კრება შესდგა რაიპარტკომის შენობაში ამხ. მინასიანის თავმჯდომარეობით და წინა სიტყვაობით, რის შემდეგ ამხ. ჯაფარიძემ გააკეთა კრებაზე მოხსენება რუსულ ენაზედ. რადგანაც კრების მონაწილეთა უმრავლესობას რუსები წარმოადგენდენ, ეს მოხსენება გადათარგმნილი იქნა შემდეგ ქართულ ენაზედაც ამხ. დოლიძის მიერ. შეკითხვებზე პასუხის მიღების შემდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც მანგლისის რაიონის გლეხობა იწონებს მუშურ-გლეხური მთავრობის აქტს საგლეხო სესხის გამოშვების შესახებ, როგორც მიმართულს გლეხკაცობის და განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა სასარგებლოთ, აგრეთვე მთელ საბჭოთა ქვეყნის ფულის ნიშნების განმტკიცებისათვის, ერთხმათ აღუთქვეს მთავრობას ყოველგვარ დახმარება ამ სესხის რეალიზაციის საქმეში—შემდეგ ამისა აქვე იქნა გახსნილი ობლიგაციის შეძენის მსურველთა ჩაწერა, აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ ხალისს, რომესლაც იჩენდა გლეხობა ჩაწერის დროს. კრებაზე დამსწრეთაგან უმრავლესობამ განაცხადა სურვილი ობლიგაციების შეძენისა. სხვათა შორის ერთმა დამსწრეთაგანმა განაცხადა საყვედური, რომ ამისთანა მნიშვნელოვანი საქმისათვის მოწვეული უნდა ყოფილიყო უფრო მრავალრიცხოვანი კრება და თუ ეს დღეს არ მოხდა, აუცილებლივ უნდა მოხდეს ახლო მომავალში მაინც.

თავის თავად ცხადია, რომ ასე დაჩქარებით მოწვეულ მცირერიცხოვან კრებაზე ობლიგაციების დიდი რაოდენობის გავრცელება შეუძლებელი იყო, მაგრამ იგი მაინც ნათელი მაჩვენებელია მისი, როგორ ჩატარდება საქართველოს სოფლად საგლეხო სესხის გავრცელების კამპანია, თუ ამისათვის მიღებული იქნება, სათანადო და დროული ზომები ადგილობრივად მომუშავე ამხანაგების მიერ.

ვ. ჭ.

მეცნიერება და ტეხნიკა

კავშირი მარსთან.

მეცნიერებისა და ტეხნიკის განვითარებამ დღის წესრიგში დასვა საკითხი დედამიწის მეზობელ პლანეტების გამოკვლევის, მათთან კავშირის გაბმის შესახებ, თუ მათზე, რასაკვირველია, ცოცხალი არსებანი მოიპოვებიან. ამ მეზობლებს შორის ყველაზე ახლოა ჩვენთან მთვარე, რომელიც ზედმიწევნით არის შესწავლილი; მთვარე მკვდარი პლანეტების რიცხვს ეკუთვნის. მთვარის საკუთარი სითბო დიდი ხანია გამოილია, მთვარე გაცივდა, მასზე არ არის ჰაერი, წყალი და ამიტომ, მაშასადამე, არ არის პირობები არც ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის მასზე.

ამიტომ მთელი ყურადღება ეხლა მიპყრობილია მარსზე, რომლის ფიზიკური პირობები თუ სავსებით ისეთი არ არის, როგორც დედამიწაზე ზოგიერთი მეცნიერების აზრით, მაინც დამაკმაყოფილებელია იმისათვის, რომ იქ ცოცხალი ორგანიზმები არსებობდენ. მაგრამ მარსი იმდენად შორს არის ჩვენგან, რომ უდიდესი ტელესკოპითაც კი ვერ დაინახავს იქ ადამიანის თვალი უზარმაზარი ქალაქების ან გონიერ არსებათა მუშაობის რაიმე ნიშანს.

ზოგიერთი მეცნიერები, მაგალითად ცნობილი ასტრონომი გალტერ მაუნდერი კატეგორიულად უარყოფენ აზრს იმის შესახებ, თითქო მარსზე ადამიანის მსგავსი არსებანი ცხოვრობდენ. განსაკუთრებით ილაშქრებს მაუნდერი იმ ასტრონომების წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ის სწორი ხაზები, რომლებიც მიიღეს მარსის სურათის გადაღების დროს, წყლის არხებს წარმოადგენენ. მაუნდერი ამტკიცებს, რომ ეს ხაზები არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ არხებს. მაუნდერის აზრით ამ ხაზების სისწორე მოჩვენებითია, რადგან შორ-მანძილზე ყოველგვარი უსწორ-მასწორობა ქრება და რომ ასტრონომების განკარგულებაში უფრო გაუმჯობესებული ტელესკოპები იყოს, მაშინ ნათელი იქნებოდა, რომ ვითომდა სწორი ხაზები სრულიად არ არიან გეომეტრიულად სწორი. თავისი აზრის დასამტკიცებლად მაუნდერს მოჰყავს ცნობები, თუ როგორ თანდათანობით იცვლებოდა მარსის რუკა და მარსზე ზღვებისა და მთების სურათები იმისდა მიხედვით, თუ როგორი სიდიდის ტელესკოპებით იკვლევდენ მათ.

ასეა თუ ისე, მარსზე ადამიანის მსგავს არსებათა, გონიერ არსებათა არსებობის მომხრენი განაგრძობენ მუშაობას მარსთან კავშირის დასაჭერად საშუალებების გამონახავად. უკანასკნელ ხანებში მათ კიდევ ერთი „საბუთი“ მოემატა მათი აზრის დასამტკიცებლად მარსზე ადამიანების არსებობის შესახებ. ერთმა ინჟინერმა, რომელიც ცდებს ახდენდა რადიო-ტელეგრაფზე, გაიგონა რაღაც თავისებური ხმები, რომლებსაც ზოგიერთები, მათ შორის ცნობილი ინჟინერი მარკონიც, სთვლიან მარსიდან გამოგზავნილ ნიშნებად.



ინჟ. მარკონი.

მრავალი საშუალებები შეიმუშავეს მარსის მცხოვრებლებთან, თუ ასეთი არსებობენ, კავშირის დასაჭერად, მათთვის რაიმე ნიშნის მისაცემად. ერთი ასეთი საშუალებათაგანი არის საშუალება, რომელზედაც მიუთითეს 60—70 წლით წინათ. მდგომარეობს ის შემდეგში: ძალიან დიდ მანძილზე უნდა დაითესოს რაიმე ფერადი ყვავილით. ნათესს უნდა ჰქონდეს გეომეტრიული ფიგურის ფორმა, მაგალითად სწორკუთხიანი სამკუთხედის. ყოველ წელიწადს სწორ კუთხესთან მდებარე ხაზს (კატეტს) უნდა მიემატოს ოთხკუთხედი, მაშინ მარსის მცხოვრებლები, თუ ისინიც ისე ცდილობენ დედამიწის შესწავლას, როგორც ჩვენ, გვიპასუხებდენ ასეთივე სამკუთხედით მხოლოდ ოთხკუთხედით სწორი კუთხის პირდაპირ მდებარე ხაზზე (ჰიპოტენუზა).

მაგრამ ეს პროექტი არ განხორციელდა მიმდ. წლის 22 აგვ. მარსი მიუახლოვდება დედამიწას უახლოეს მანძილზე. მეცნიერები გაცხოველებულ მზადებას აწარმოებენ ამ დროისათვის, რომ ისარგებლონ მარსის მოახლოებით და გაუმჯობესებული ტელესკოპის საშუალებით უფრო ზედმიწევნით შეისწავლონ მარსი.

მარსზე ცოცხალ არსებათა არსებობის მომხრეებიც ემზადებიან, რომ მარსის მცხოვრებლებთან კავშირი გააბან. ამისათვის ალპებში, იუნგფრაუს მწვერვალზე დაიდგმება უდიდესი ტელესკოპი, სარკე მარსზე სინათლის ნიშნების გასაგზავნათ.

ცნობილი ინჟ. მარკონი, რომელმაც რადიოტელეგრაფი გამოიგონა, სდგამს იუნგფრაუზე რადიო-სადგურს მარსზე რადიო-ნიშნების გასაგზავნათ.

ქრონიკა

■ **ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება.** ორშაბათს, 23 ივნისს ამხ. ლუნაჩარსკი სახელმწ. ოპერის თეატრში წაიკითხავს მოხსენებას ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრებისათვის.

■ **სახლების შეკეთება.** ქალაქის ბანკის გამგეობამ გამოიმუშავა გეგმა საამშენებლო ამხანაგობისათვის სესხის მიცემის შესახებ სახლების შესაკეთებლათ და ასაშენებლათ.

■ **დაწმენდილი და კარგი ხარისხის ყინვა.** ქ. სასაკლაოსთან გარემართა ყინვის საწმენდი ქარხანა, რომელიც დღეში ამუშავებს 660 ფ. დაწმენდილ ყინვას.

■ **დახმარება უმუშევართ.** 23 ივნისს, უმუშევართა დამხმარე განყოფილება გასცემს ივნისის თვის დახმარებას მელითონეთა, ტრანსპორტზე მომუშავეთა, მბეჭდავთა, ალმშენებლობის, ხეზე მომუშავეთა და ფ.-ტელეგრაფის უმუშევართა სექციებში.

■ **წყალის მიწოდება.** ქ. სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით, მაისის თვის განმავლობაში ქ. წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 43,257,997 ვედრო წყალი.

■ **პარკის მექანიკური საშრობი.** ცეკავშირმა დაამთავრა სამტრედიაში ორი მექანიკური პარკის საშრობის აგება. ერთი დღე და ღამის განმავლობაში შეიძლება გამოშრობის მხრივ დამზადდეს 1,200 ფ. პარკი.

■ **კოოპერატივები რაჭის მაზრაში.** რაჭის მაზრაში ამ ჟამად სამი კოოპერატივია: ერთი ონში, მეორე პრებალოში და მესამეც ამბროლაურში.

■ **კოოპერატივების დაარსება აგარაკებზე.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ დაადგინა: სთხოვოს ცეკავშირს დააჩქაროს აგარაკებზე კოოპერატივების მოწყობა.

■ **ხორბლის მიწოდება მცხოვრებთათვის კოოპერატივების საშუალებით.** მუშათა მთლიან კოოპერატივმა გადასწყვიტა ახლო ხანში მოაწყოს კოოპერატივებში ხორცით ვაჭრობის საქმე, მცხოვრებთათვის იაფ ფასებში ხორცის მიწოდების მიზნით.

■ **შინა-ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლები.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების გეგმა საუწყებათაშორისო ორგანოებში შინა-ვაჭრობის კომისარიატმა იყოლიოს თავისი წარმომადგენლები.

■ **მტკიცე ფასები მწვანილეულობაზე.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ გადასწყვიტა მწვანილზე მტკიცე ფასების დასაწესებლათ მოიწვიოს მებოსტნეთა თათბირი.

■ **კოოპერაციის წარმომადგენელნი.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ დაადგინა: კომისიაში შეიყვანოს მუდმივ წევრებად ცეკავშირის, მუშკოოპის და ა|კ. მომხმარებელ საზოგადოების წარმომადგენელნი.

■ **შინა ვაჭრობის კომისარიატისათვის.** ა|კ. უმაღლ. ეკონომ. საბჭომ შინა-ვაჭრობის კომისარიატის საჭიროებისათვის გადასდო 41,000 მანეთი.

■ **ჩათახის ქარხანა.** ა|კ. უმაღ. ეკონომ. საბჭომ დაადგინა: ჩათახის ქარხანას გაუგრძელოს სესხის გადახდის ვადა 6 თვით.

■ **კოოპერატივების დავალიანება.** უმაღ. ეკონომ. საბჭომ დაადგინა კომისია ამხ. გენკინის, ბალტინის და მგალობლიშვილის შემადგენლობით, რომლებსაც დაევალა ა|კ. კოოპერატივების დავალიანების დასაფარავათ სათანადო ზომების მიღება.

■ **პურის საცხობი კოჯორში.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ გადასწყვიტა კოჯორის მომხმარებელ საზოგადოებას გადასცეს განათლების კომისარიატის პურის საცხობი, პირობით—თუ საკმაო პურს მიაწოდებს როგორც მცხოვრებლებს, ისე განათ. კომისარიატის საბავშვო სახლებს.

■ **პროვინციების შრომის სკოლების ექსკურსიები.** თბილისში სამეცნიერო დაწესებულებების და საცდელ საჩვენებელი შრომის სკოლების, სამხატვრო აკადემიის გამოფენის და თვალსაჩინო ადგილების და კახეთში მდებარე სახელმწიფო მამულების დასათვალიერებლათ ყოველდღიურათ პროვინციებიდან ჩამოდის შერეული ექსკურსიები შრ. სკოლების, ტეხნიკუმების და პროფსკოლების მოწაფეთაგან შემდგარი.

■ **პროვინციის საბავშვო ბაღები.** განათლების კომისარიატის მიერ გამოცემულია განკარგულება, რომ ყველა მაზრებში დამოუკიდებლათ არსებულ საბავშვო ბაღებმა არ შესწყვიტონ მუშაობა და მეცადინეობის სისტემა შესცვალონ ბავშვების ბუნებასთან დაახლოებით.

■ **გლეხთა მოკლევადიანი მომგებიანი სესხი და მასწავლებლობა.** განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა სამაზრო განათლების განყოფილებებს, რათა გლეხთა მოკლევადიან მომგებიან სესხის საქმის გავრცელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მასწავლებლებმა.

■ **საქონელზე ფასების მომატების აკრძალვა.** ქ. აღმასკომმა დაამტკიცა სავალდებულო დადგენილება საქონელზე ფასების მომატების აკრძალვის შესახებ, რომლის ძალითაც მოვაჭრეებს სასტიკათ ეკრძალებათ ამა თუ იმ საქონელზე ფასების მომატება, ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიის გარეშე.

■ **აფთიაქების იჯარით აღება.** ქ. აღმასკომმა დაავალა ამხ. მამულიას და ს. ჯულელს გამოიმუშაონ საიჯარო პირობები ჯანმრთელობის კომისარიატიდან აფთიაქების იჯარით ასაღებათ.

■ **შეშის შეძენა.** ქ. აღმასკომმა სატყეო ტრესტთან დასდო ხელშეკრულება ქალაქისათვის 1200 ოთხკუთხ საჟენი შეშის დამზადების შესახებ.

გამომცემლობა

■ **„როგორ შევიდა მალაზონი სამოთხეში“.** გამოვიდა ქართულ ენაზე ცნობილი პროლეტარული პოეტის დემიან ბედნის თხზულება: „როგორ შევიდა მალაზონი სამოთხეში“ გადმოკეთებული სილ. თოდრიას მიერ. წიგნაკს დართული აქვს სურათები და ღირს 15 კაპ.

შემთხვევები.

■ **შეპყრობა.** 17 ივნისს, პლეხანოვის პრ. საღამოს 9 საათ. შეიპყრეს პირველ სამილიციო რაიონის სამმართველოსთან არსებულ საპატიმროდან გაქცეული პატიმარი ვლადიმერ მირონენკო.

■ **თავის დასახრჩობათ.** 18 ივნისს, დილის 8 საათზე. ვერის ხიდთან მტკვარში გადავარდა თავის დასახრჩობათ მოქ. ანტონინა სტეფანეს ასული ელისტრატოვისა (მცხოვრები მეჩნიკოვის ქ. № 11), რომელიც მცურავების მიერ გადარჩენილი იქნა და გადაგზავნილი სავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

■ **ავტომობილის მსხვერპლი.** 18 ივნისს, შუადღის 12 საათზე, რუსთაველის პრ. სასადილოს წინ, ა.|კ. რკინისგზის დამხმარე კასის კუთვნილ ავტომობილმა № 166 გაიტანა მოქ. პელაგია ჟღენტი (მცხოვრ. ყიფიანის ქ. № 29), რომელიც სასწრაფოთ გადაგზავნილი იქნა რესპ. მთავარ სავადმყოფოში. შოფერი გატილევსკი შეიპყრეს.

■ **თავის თავის დაჭრა.** 18 ივნისს, დილის 11 საათზე ლოტკის ქ. № 22 ჯიბის დანით თავისი თავი დაიჭრა მოქ. ლუკა მოლოდაძემ, მიზეზი გამოურკვეველია. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა სავადმყოფოში.

■ **ქურდი ცოლი.** 18 ივნისს ნაშუადღევის 2 საათზე შერემეტიევის ქ. № 4, გაქურდული იქნა მოქ. ვასილ იაკუმოვის ძე გორონოვის ბინა მისივე ცოლის მელანია ეგნატეს ასული გორონოვას მიერ. წაღებულია 300 მან. ნივთები.

■ **ქურდობა.** 18 ივნისს საღამოს 9 საათზე წყნეთის ქ. № 19 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მოქალაქე ვასილ კარბაძის ბინა, წაღებულია 80 მან. ნივთები.

■ 17 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათიდან ღამის 10 საათამდე მილიციის ქ. № 7, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მოქ. ნოე ბარკალაიას ბინა, წაიღეს 100 მან. ნივთები.

■ 18 ივნისს, დღის 5 საათზე არსენალის ქ. № 26, გაქურდეს მოქ. ანნა ქართველიშვილის ბინა, წაღებულია 60 მანეთის ნივთები.

■ 18 ივნისს მცხეთის საავარაკო წყლისსადენ სადგურიდან მოიპარეს მანქანის ღვედი, ზომით 24 არშინი, ღირებული 500 მან. ეჭვით შეიპყრეს ბორის ილიჩენკო და ალექსანდრე კრეტოვი.

ზემო ქართლის ვითარება

გვალვა

როგორც ეტყობა გვალვა ხშირი სტუმარი გახდა ქართლის მიდამოებისა.

ჯერაც არ დავიწყებია ხალხს 1921 წლის გვალვა, როცა ოთხი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოიკლა წყურვილი დედამიწამ.

წრევანდელ წელიწადს უფრო უარესი პირი უჩანს, მაგრამ გაჭირვება მაინც არ იქნება ისეთი, როგორც ამ სამი წლის წინად.

მაშინ სოფელიც დამშეული იყო და ქალაქიც. რუსეთიც ჩვენზე უარეს დღეში იყო და ვერ ხერხდებოდა იქიდან რაიმე ძმური დახმარების მიღება საგრძნობი მასშტაბით.

ეხლა კი ჩვენი ქალაქები სულ რუსეთიდან შემოტანილი პურით იკვებებიან. სოფელიც ჯერ კიდევ გრძნობს შარშანდელი უხვი მოსავლით დაპურებას. და ამასთანავე ყოველ შემთხვევისათვის ეხლა უფრო უკეთესად არის მოწყობილი მთავრობის მიერ დახმარების გაწევა, ვიდრე 1921 წელს.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, წრევანდელი გვალვა მაინც სტიქიურ უბედურებათ ჩაითვლება.

თბილისიდან დაწყებული მისდევ ამ ქართლის ნათეს ველებს და გამოცდილი თვალი წინდაწინვე კითხულობს ჩვენი გლეხობის დარდსა და ვარამს.

უკვე თავთავგამოღებული პური და ქერი თითო მტკაველს ძლივს ასცდენია და ფერიც უდროოდ შეყვითლებია.

ზოგან თავთავებში ორი-სამი მარცვალი ძლივს მოიპოვება.

გამოფიტული ნიადაგი ლუკმა-ლუკმა არის დაგლეჯილი და თითქმის ორი ადლის სიღრმეზეა დახეთქილი.

განსაკუთრებით ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ზემო-ქართლის მიდამოები, სადაც სარწყავი მამულები ძალიან იშვიათია.

ზემო-ქართლს სამართლიანად ეწოდება საქართველოს ბეღელი. მხოლოდ ეს მხარეა პურით უხვი მთელ საქართველოში და ხარისხითაც აქაური მოსავალი ბევრით მაღლა სდგას დანარჩენზე. თუ ამ მხარეში მოსცდა მოსავალი, ეს ერთობ საგრძნობია ყველა ახლო-მახლო რაიონებისთვის, რომელნიც თავს იკვებავენ აქაური მოსავლით. მაგალითად: ბორჯომის ხეობა, ჯავახეთი, ზემო-იმერეთი და სხვა.

პურის და ქერის იმედი სრულებით აღარა აქვს გლეხკაცობას. ეხლა თავსხმა წვიმაც რომ მოვიდეს, მას პირს ველარ მოაბრუნებინებს, რადგან უკვე გადასცდა ზრდის ვადას.

სანუგეშებლად სიმინდი და დარჩენია ჩვენ გლეხ-კაცს, რომელიც ბევრ ადგილას ჯერ კიდევ არ არის რიგიანათ ამოსული გვალვის გამო.

ადგილობრივ გლეხ-კაცობას თავის გარდა კიდევ საქონელი გახდომია სადარდებლათ. როცა ასეთი გვალვაა —ბზის მოსავალიც ძალიან ნაკლებია და საქონლის გამოსაკვებათ კი ბზისა და ჩალის მეტი სხვა არაფერი მოიპოვება ამ მხარეში.

დიაღ, წრევანდელი გვალვა დიდ გაჭირვებას უმზადებს როგორც ხალხს, ისე საქონელსაც.

შარშან ისეთი უხვი მოსავალი იყო, რომ ორ წელიწადს თამამად ეყოფოდა იგი ჩვენ გლეხკაცობას. მაგრამ წინა წლებით გაჭირვებულ ხალხს მცირეოდენი შემოსვლა მაინც ეჭირვებოდა.

დაინახეს თუ არა ისეთი სიუხვე მოსავლისა, მაშინათვე შეეცადენ ტანზე მიეკრათ რამე.

მაგრამ სწორედ შემოდგომაზე პირნახულის ფასი ერთობ დაბლა იყო და სამაგიეროდ ფართლეულობა კი ძალიან ძვირათ ღირდა: არშინ ჩვეულებრივ ჩითს უნდებოდა 3—4 ფუთი სიმინდი, ან ორ ფუთამდის პური.

ჩვენი გლეხკაცობის საშუალო ზედმეტი შემოსავალი კი, რომელსაც გაიმეტებს კარში გასატანად, არ აღემატება 60 ფუთს.

პირნახულის სიიაფეში კი ამითი გლეხი ვერ გაასწორებს ყველა იმ ხარჯებს, რაც მისთვის აუცილებელია ჭამა-სმის გარდა. ამიტომ შემოდგომაზე ადვილათ გაიფლანგა ის უხვი მოსავალი, რომელიც მოიმკა შარშან ჩვენმა გლეხობამ.

მთელი ზემო ქართლის ბაზარი—ეს ხაშურია თავისი პარასკეობით და კვირაობით. რა ნახეს, რომ მოსავალს პირი აღარ უჩანს, იქ პურის მაზანდა ოთხი აბაზიდან ავიდა რვა აბაზზე და ეხლა თითქმის ორ მანეთსაც სცილდება.

მართალია რუსეთში შედარებით კარგ მოსავალსა ხწერენ, მაგრამ ეს ჩვენ გლეხობისათვის არ იქნება ისე საგრძნობი, როგორც საკუთარი მოსავალი. ეს ცხადია.

შემოზიდული პურით იკვებება ქალაქი ადგილი. ჩვენი სოფელი კი თავის მოსავლის ამარა არას.

ან ქართლელმა გლეხმა რაღა უნდა გაყიდოს პურის საყიდლათ, როცა ყველაფერს პურითა ყიდულობს იგი.

თუ ეს პურიც არ მოუვიდა, მაშინ იძულებულია გასაყიდათ გაიმეტოს თავისი ოჯახისათვის საჭირო და აუცილებელი საქონელი—ხარი და ძროხა.

ასე იყო მაგალითად 1922 წელს, როცა ხბოიანი ძროხები ხუთ ფუთ სიმინდში იყიდებოდა.

წრეულს შეიძლება ასეთი გაჭირვება კი აღარ იყვეს, მაგრამ ხალხი მაინც ძალიან არის შეწუხებული წინ და წინ.

ამ გვალვის მოსალოდნელ გაჭირვებას სავსებით ვერ ავიცილებთ თავიდან, მაგრამ თუ შესაძლებელია მისი შემსუბუქება, საამისო ზომები ეხლავე უნდა იყოს მიღებული.

პირველ ყოვლისა ამას უნდა მიაქციონ ყურადღება კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა „ცეკავშირმა“ და „წარმოკავშირმა“, რომელთაც თავიანთი განყოფილებანი აქვთ რამდენიმე ადგილას და უმთავრესად კი ს. გომში. იგინი უმეტეს ნაწილად პირნახულით ეწევიან ალებ-მიცემობას. მათი საშუალებით ქართლიდან დიდძალი ხორბლეულობა გამოდის ბაზარზე.

იგინი უნდა ეცადონ, რაც შეიძლება მეტი ხორბლეულობა შეინახონ თავიანთ ბეღლებში შესაძლებელ მომავალი სესხისათვის გლეხობაზე.

ან მთავრობამ ეხლავე უნდა დაიბეროს მათგან პირნახული შემდეგში გლეხობაზე გასაცემათ და ამითი ტრანსპორტის ხარჯები მაინც იქნება თავიდან აცილებული.

ამ უმაგალითო გვალვის გამო ჩვენ გლეხ-კაცობაში ილვიძებს ცრუმორწმუნოება:

ბევრგან წყალსა ხნავენ გუთნით, დადიან ჯოგჯოგათ „ლაზარეზე“, სწირავენ სამღვთოს. უქმობენ ზედმეტ დღეს კვირაში, როცა მიწას ხელს აღარ ახლებენ და სხვა.

რასაკვირველია ეს ერთი წუთითაც არ მოგვიახლოვებს ავდარს, მაგრამ სასოწარკვეთილ ჩამორჩენილ ხალხს სხვა სანუგეშებელი აღარაფერი დარჩენია ამ ცის რისხვაზე.

ნიადაგის დაძაბვა

რაოდენობა სახნავ-სათესად გამოყენებული მამულისა ეხლა ბევრათ უფრო მეტია, ვიდრე იყო ეს ამ 15—20 წლის წინედ.

უწინ მთელი დოღლაური ანუ მტკვრის ველები ქარელიდან ხაშურამდის უმეტეს ნაწილად წარმოადგენდა ტყეებსა და სათიბეებს.

თივის მეურნეობა პირველათ გომში დაიწყო. დიდძალი საუკეთესო ხარისხის თივა იგზავნებოდა იქიდან მთელ საქართველოში. ყარაიას თივას ვინ ამოუყენებდა გვერდში იქაურ იონჯას? დღეს ეს ძვირფასი სათიბეები სულ დახნულია. ტყეებიც გაჩეხილი და სახმარ მამულათ გადაქცეული.

მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ სახნავ-სათესი მამული ეხლა ბევრათ მეტია, ვიდრე ამ ათიოდე წლის წინედ, რაოდენობა მოსავლისა შედარებით ნაკლებია. რათა?

უწინ ეს ურყეველი კანონი იყო: ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა დაესვენა მამულს. ჯერ სიმინდს დასთესავდენ, შემდეგ—პურს, მას მოყვებოდა ქერი, მეოთხე წელიწადს კი თავისუფალი იყო. ეხლა დასვენებულ მამულს ველარსად ნახავთ. ყოველ წელიწადს სიჭას აცლის ჩვენი გლეხი თავის მამულს და ნიადაგიც გამოიფიტა. მიწის გაპატიება ხომ ძალიან ნაკლებ ახსოვს ვინმეს.

ამიტომ ჩვენი გლეხკაცი ძალიან ხშირად ბევრი მამულიდან თავის ნაშრომსაც ვერ იღებს, არამც თუ ზედმეტს.

ის პირველყოფილურათ ეხარბება ერთ მტკაველა მიწას, მაგრამ სრულიად აღარა ფიქრობს მის ნაყოფიერობაზე.

რაც შეეხება აგრონომიულ დახმარებას—ეს პრაქტიკულად დიდ ვერაფერში გამოიხატება. მართალია ზოგან არსებობენ აგრონომიული პუნქტები, მაგრამ დღეს ზოგიერთი ჩვენი პროვინციელი მომუშავენი ჯერ კიდევ ჯამაგირის მიმღებ ჩინოვნიკებს უფრო მოგვაგონებენ, ვიმეორებთ ლაპარაკია ზოგიერთებზე „ცეკავშირისა“ და „წარმოკავშირის“ ერთი-ორი სურათებიანი პლაკატით ჩვენი მეურნეობა წინ ვერ წავა. საჭიროა გამოცდილი და ერთგული აგრონომები. იგინი უნდა მუდმივათ ტრიალებდენ ხალხში: ასწავლიდენ, არიგებდენ, უჩვენებდენ მაგალითებს, ეხმარებოდენ თავიანთი რჩევით მეურნეობის ყველა დარგში.

ამასთანავე საჭიროა საცდელი მინდვრების და ბაღების მოწყობა, რაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმ ხანაში, როცა შენდება გიგანტური სადგური ზემო-ავჭალისა. ეს ყველაფერი ადვილი მოსახერხებელია ადგილობრივი გლეხობის დახმარებითვე.

საამისოდ საუკეთესოდ არიან შეფარდებული ყოფილი თავადების ბაღ-ვენახები, რომელნიც რიგიანი მოუვლელობის გამო თანდათან ოხრდებიან.

ჩვენი აგრონომები თბილისში უფრო მრავალრიცხოვანი სხედან და ეწევიან ჩვეულებრივ „ჩინოვნიკობას“, ვიდრე იქ, სადაც არის მათი მოწოდება და ცოდნის გამოყენება აუცილებელი.

დიდ საქმეს რომ თავი გავანებოთ, რომელთა შესრულებაც წლებთან არის დაკავშირებული, პატარებიც მრავლად არის მოსაგვარებელი.

მაგალითად ქათმისა და ღორის ჭირი ყოველ ზაფხულის ბოლოში ერთიანათ არბევს ჩვენ გლეხკაცობას.

აქ ჭკვიანი რჩევა-დარიგებით და ზოგიერთი გიგიენური ზომების მიღებით აუცილებლათ შესამჩნევათ მცირდება ამ სენის თარეში. ხარჯს კი თითქმის არაფერს თხოულობს.

უბალახობა და საქონლის გადაშენება.

ბარში საქონელი სულ გადაშენების გზას ადგია. მთავარი მიზეზი უბალახობაა.

უწინ დიდი ტყეები იყო, საბალახოები, სათიბები და ზემო-ქართლის საქონელიც მართლა ავის თვალით არ ინახებოდა.

ეხლა ყველაფერი ეს მოსპობილია. გადაუჭარბებლად—ერთ დღიურ მიწას ველარა ნახავს კაცი საბალახეთ დატოვილს. დამშეული საქონელი სულ ხრიოკებზე და გზის პირებზე დაწანწალობს, ან ძალა-უნებურად უნდა გააფუჭონ ნათესობა, რაც უფრო მეტ ზარალს იწვევს და ხშირათ ძალიან დიდ უსიამოვნებასაც აგდებს გლეხებში.

ამ ბოლო წლებში რაკილა ნამეტნავად გაჭირდა საქონლის კვება, ამიტომ ყოველ გაზაფხულზე სანამ პირნახული გაითიბება, ჯავახეთში მიუდით ხოლმე თითქმის მთელი საქონელი. ეს დიდ ზიანს აყენებს გლეხკაცობას. ჯერ ერთი, სულზე უნდა იხადონ სამი ოთხი ფუთი პირნახული. მერე, თვითონ ოჯახში მოკლებულია წველასაც, სამუშაო საქონელსაც. და ხშირად არც უკლებლივ უბრუნდება ეს საქონელი სახლში.

ცხვარიც სულ ერთიან მოსპობის გზას ადგია. ამავე დროს აფსუსი კი არის ზემო-ქართლის ცხვარი, რომ მოისპოს რადგან, როგორც მატყლის ხარისხით, ისე ხორცის ღირსებით მას ვერც ერთი ჩვენებური ჯიში ვერ შეედრება.

მართალია მას თავისი მცირე-რიცხოვანებით დიდი ბაზარი არ ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ ადგილობრივ მოთხოვნილებებს კი თამამად აკმაყოფილებდა.

წინანდელ ორას სამას სულიან ფარების სანაცვლოდ ეხლა ათი და ოცი ძლივსღა დაღინღილობს აქაიქა.

ამ გარემოებას უეჭველათ უნდა მიექცეს ყურადღება. რადგან ეს შეეხება მთელს მეურნეობას და სახელმწიფო ხასიათს ატარებს, ამიტომ საჭიროა ცენტრალური მთავრობისაგან, ან მიწათ-მოქმედების კომისარიატიდან უსასტიკესი ზომები, რომ ყოველ სოფელმა თავის საქონლის საკვებათ დასტოვოს საკმაო საბალახე.

სულ ერთიან დაეცა საქონლის ჯიში, თვალი აღარაფერს ადგება, საქონელი კი ჰამით არის. საჭიროა მთავრობის წინდახედული ზომები, რომ გადაარჩინოს ჩვენი გლეხობა ასეთ დაქვეითებას.

ლელი.

ხელოვნება

ლენინის სახელობის კლუბში.

ქართული სიმფონიური კონცერტი. მ. წ. 17 ივნისს ლენინის სახელობის კლუბში შესდგა პირველი საღამო ქართული სიმფონიური მუსიკისა დ. არაყიშვილის ნაწარმოებიდან. კონცერტის წინ თვით ავტორმა გააცნო მსმენელებს ქართული მუსიკის ისტორია, მისი შინაარსი, მიმართულება და უმთავრესი მომენტები ქართულ მუსიკის დამუშავებაში, დასძინა ისიც, რომ საქარ. პროფ.-კავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების წყალობით მეორე სეზონია, რაც მუშათა კლუბებში სიმფონიური კონცერტები იმართება. თუ აქამდის სიმფონიას ისმენდა მხოლოთ მდიდარი საზოგადოება, დღეს საბჭოთა ხელისუფლების წყალობით შეძლება ეძლევა პროლეტარიატს დაესწროს სიმფონიურ კონცერტებს, და გაეცნოს როგორც ქართულ, ისე სხ. ეროვნებების მუსიკას. ორატორი დაჯილდოვებულ იქნა ტაშით. ორივე განყოფილების პროგრამმა შეიცავდა დ. არაყიშვილის ნაწარმოებს. შესრულებულ იქნა მისი ოპერებიდან: „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და „სიცოცხლე სიხარულია“-დან ნაწყვეტები, რამაც საზოგადოებაში გამოიწვია იშვიათი ენტუზიაზმი. სახ. ოპერის მსახიობთა სტრახოვისა და ვენაძის მიერ შესრულებულ იქნა დუეტი ოპერა „შოთა რუსთაველი“-დან. ამ კონცერტს მუშები ნაკლებ დაესწრნენ. საჭიროთ ვსთვლით, რომ კლუბმა ფართეთ ამცნოს ხოლმე ამგვარი საღამოები ქარხანა-სახელოსნოების მუშებს, თორემ „ნეპმანები“ და შემთხვევითი ხალხი“ ავსებს ბაღს.

მელითონე.

ავლაბრის მუშათა კლუბში.

— **„ასლი ქიარიმი“.** 17 ივნისს ავლაბრის მუშათა კლუბში ადგილობრივი სომხური დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქმნა სომხურ ენაზე „ასლი-ქიარიმი“. ასლიას როლს ასრულებდა შარატალიანი (ქალი), ქიარიმას თამაშობდა არტაშა, ასლიას მამის ღვდლის როლს თამაშობდა სერჟი. ეს ოპერეტა ძველი ისტორიული პიესიდან არის გადაკეთებული და უკანასკნელ დადგმაში ბოლო მოქმედება შეკეთებულია. ამის გამო სინამდვილესაც უფრო უახლოვდება. წინად ეს მოქმედება ცრუ მორწმუნოების გავრცელებას უწყობდა ხელს: მღვდელი შეულოცავდა თავის ქალს გულის ღილებს, რომელიც „შელოცვის“ შემდეგ ისეთ ძალას იძენდა, რომ პირველი შეხედვისთანავე ქიარიმა კვდებოდა. ეს ნაწილი ახლა ასე არის გადაკეთებული:

მღვდელი შეუმჩნევლად ჭიებში საწამლავს ურევს და მომქმედნი პირნი ღვინის დალევის შემდეგ იწამლებიან და კვდებიან, სულ სინამდვილესთან ახლოა და სავსებით მისაღებია.

ი. ჯ.

■ **კ. მარჯანიშვილის დაბრუნება.** რუსეთიდან ჩამოვიდა რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

■ **ქართველ მსახიობთა ახალი კავშირი.** დაარსდა მსახიობთა ახალი კავშირი. საბჭოში არჩეული არიან: აკ. ფაღავა, აკ. ვასაძე, ვიაჩესლავ ჯიქია, ი. ზარდალიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე. პ. კანდელაკი და კ. მურღულია.

■ **ქართველ მსახიობთა ახალი კავშირის ჟურნალი.** ქართველ მსახიობთა ახალი კავშირის კულტურული სექცია მოკლე ხანში გამოსცემს საკუთარ ჟურნალს.

■ **ქუთაისის თეატრი.** ქუთაისის თეატრის დასის გამგემ ი. ზარდალიშვილმა ირ. ლუკაშვილისაგან შეიძინა ახალი პიესა „უკვდავება“, რომელიც წარმოდგენილი იქნება მომავალ სეზონში. აგრეთვე ზარდალიშვილმა ქუთაისის დასში მიიწვია სახალხო სახლის მსახიობი ქალები პ. ლორთქიფანიძისა და ნინო ჩიხლაძის ასული.

■ **ძუკუ ლოლუას კონცერტი.** სამშაბათს, 24 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ძუკუ ლოლუას სახალხო კონცერტი.

■ **სეირნობა-საღამო.** შაბათს, 21 ივნისს, საზაფხულო ბაღში „არტო“-ში განათლების მუშაკთა კავშირთან არსებული საურთიერთო დახმარების სალარო თავის სალარის გასაძლიერებლად მართავს გრანდიოზულ სეირნობა-საღამოს მრავალფეროვან და საინტერესო პროგრამით (საბავშვო განყოფილებით).

სეირნობის დასაწყისი ბავშვებისთვის—4,1|2 ს., მოზრდილთათვის—8 საათიდან.

„დამარცხებულნი“. შაბათს 21 ივნისს ავლაბრის მუშათა კლუბში ქართულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „დამარცხებულნი“, დრამა 5 მოქმედებათ.

ორშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში

დანიშნულია თბილისის საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი:

1) ზაჰესკომის მოხსენება.
2) სექციების მუშაობის შესახებ.
3) მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

ნ. 1244 2—1 **პრეზიდიუმი.**

პროვინციაში

გორის მაზრის სკოლების მოწაფეთა ნამუშევრის გამოფენა.

გორში ამ ჟამად იშვიათი გამოფენაა გამართული. სახალხო სახლის დიდს დარბაზში გამოფენილია მთელი მაზრის სკოლების მოწაფეთა ნამუშევარი— ეს მეტის-მეტად საინტერესო ახალი სკოლის ნაშობი გამოფენა. ამ საყურადღებო გამოფენაზედ, რომელმაც თავისი მრავალფეროვნობით საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს, ჰნახავთ ყველაფერ იმის განხორციელებას და განსახიერებას, რასაც ბავშვები სკოლებში სწავლობენ და თავისს ირგვლივ ჰხედავენ. აქ ნახავთ შეგირდების მიერ გაკეთებულს გეომეტრიაში, ფიზიკაში, ბუნებაში, კულტურაში, გეოგრაფიაში და სხვა საგნებში ნასწავლ საგნების მოდელებს. ჰნახავთ მშვენივრად წყლით სავსე ტბაზედ გამართულს პირველ ყოფილი ადამიანის ბოძებზედ შედგმულ სასახლეს, რომელშიაც პირვანდელი ადამიანი არის მოწყობილი მთელის თავისის ოჯახით და პრიმიტიულის კულტურით; მეტის-მეტად ხელოვნურად შესრულებულია დანგრეული გორი თავისივე დანგრეულის ციხე-კოშკებით; აუარებელი რიცხვი ფიზიკაში სახმარებლის მანქანებისა, საქაჩავებისა, ტურბინებისა, რომლებსაც წითელ ბრწყინვალე ვარსკვლავისავით თავს დასტრიალებენ სამი ზევიდგან ჩამოკიდული ჰაეროპლანი.

არა ნაკლებ ყურადღებას იქცევს ძერწვის ნამუშევარი. პატარა შეგირდებისაგან გაკეთებულია მრავალი ქანდაკებანი ადამიანებისა, ცხოველებისა, იარაღისა, ჭურჭლისა. უკვირდებით ყველა მათგანს და აშკარად ატყობთ, რომ ბევრს მათგანს უტყუარი ნიჭი უნდა ჰქონდეს ძერწვისა. მაგრამ ცოტა მოშორებით მათგან ჰხედავთ საყურადღებოს და საკვირველს ნიმუშს ასეთის ძერწვის—ეს გახლავთ მეტის-მეტად ხელოვნურად და ზედმიწევნით მიმზგავსებულ ამხ. ლენინის დიდი სურათი, ირგვლივ ყვავილებში ჩასმული. ეს რაღაც ისეთი შარავანდედისებური მოვლენაა მთელს გამოფენაში, რომ ძალაუნებურად გიზიდავთ, გატყვევნებთ, უცქერით მას და ვერა შორდებით, გინდათ დიდხანს, დიდხანს დასტკბეთ მისის ცქერით.

დიდათ საინტერესოა ტუშით შესრულებული სურათების მთელი კოლექცია, ამგვარი კოლექციები გამოუფენია ბორჯომის სკოლას და გორის ტეხნიკუმს და მთელ ყურადღებასაც ამ დარგში ეს ორი სკოლა იქცევს. გორის ტეხნიკუმის კოლექციაში ყველაზედ საყურადღებოა მოსწავლე უხურგუნაშვილის ნახატები, მეტის ხელოვნებით არის მისგან შესრულებული ქართველი მწერლების სურათები, რომელთაც საუკეთესო დარბაზებისა და ბიბლიოთეკების დამშვენება შეეძლო. მას ეტყობა უტყუარი ნიჭი, ამიტომ სასწავლებლის მოვალეობაა ყველა ასეთს ნიჭს გზა უჩვენოს და მიმართულება მისცეს.

სხვა ნამუშევართა შორის მრავალია სასოფლო მეურნეობის იარაღები და შინა მრეწველობის ნაწარმოები. ყუთები, კალათები, ფოცხები, სოფლის უბრალო სახლები და სხვა და სხვა. სადურგლო ნამუშევარში ყველაზედ მეტს ყურადღებას იქცევს ბორჯომის სკოლა, საუცხოვოდ შესრულებული ჭურჭელი ხისა, სკამები, მაგიდები და სხვა. ჭრა-კერვის მასწავლებელს გამოუფენია მრავალი ნაქარგები, ნაქსოვები და ძვირფასი, ხელით ნაქარგი ნამუშევარი. მათს ნამუშევარს დიდი დარბაზის თითქმის მესამედი უჭირავს და თვალსა სჭრის ადამიანს თავის მრავალფეროვნობით და სხვადასხვაობით.

გარდა ყველა ამისა გამოფენილია სანიმუშო ნაწარმოები მოწაფეებისა გეომეტრიიდან, გეოგრაფიიდან და სხვა საგნებიდან, მთელი წყებები რვეულებისა, აქვეა დიაგრამები და სხვა.

ამგვარს გამოფენებს უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რადგანაც მოწაფეებს ყველა ის, რაც კლასში თეორიით უსწავლიათ, აქ პრაქტიკულად თავისის ხელით გაუკეთებიათ, თავისის თითებით აუმეტყველებიათ და აი სწორედ ამაშია უდიდესი მიღწევა ახალის სკოლისა.

დიდი მადლობელნი უნდა ვიყვეთ ამ გამოფენის მომწყობებისა და უმთავრესად მის ინიციატორებისა. ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი გამოფენები ხშირად გაიმართებიან და მით ხელს შეუწყობენ მოსწავლეებს პრაქტიკულად საგნების შეთვისებაში.

შირინბეი.

გვალვა სენაკის მაზრაში

ის საშინელება, რომელიც მოუტანა გვალვამ სენაკის მაზრას, აუწერელია. ორი თვეა თითქმის, რომ ჩვენს მაზრას წვიმა არ უნახავს; დაუხნელია და დაუთესავი ნახევარზე მეტი საყანე მიწა; რაც დაითესა, ისიც არ ამოსულა. მთელს ჩვენს მხარეს, სამეგრელოს სიმშილი მოელის.

ყოველწლიურად ხელისუფლების მიერ ტარდებოდა ხვნა-თესვის კამპანია, მაგალითად, გასულ წელს ხვნა-თესვა დაიწყო მარტის თვეში და მოსავალიც კარგი მოვიდა, წრეულსაც ხვნა-თესვის კამპანია თავის დროზე იქნა ჩატარებული, მაგრამ გლეხობამ გულგრილობა გამოიჩინა და მარტში არ იქნა დაწყებული ხვნა-თესვა.

გლეხობა დაიმედებული იყო, რომ აპრილში და მაისში მოასწრებენ დათესვას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ორ თვეში მაზრას წვიმა არ უნახავს. აგერ ივნისიც გადის და წვიმა აღარა სჩანს, რამოდენიმე სოფლებში აქ-იქ იწვიმა, მაგრამ უმნიშვნელო გამოდგა, რადგანაც ეს იყო საათობით.

ამ სტიქიურ უბედურებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. საჭიროა ეხლავე ზომების მიღება, რათა მცხოვრებლები სიმშილით არ განადგურდენ... ჯერ კიდევ არ გამქრალა უკანასკნელი იმედები, თუ ივნისის თვის დამლევამდის მოვიდა წვიმა საკმარისად, მაშინ კიდევ არის იმედი, რომ პირნახული მოვიდეს საშუალოზე ნაკლები მაინც, რასაკვირველია შემოდგომა თუ არ იქნა წვიმიანი და არ აცივდა. ეხლა კი გლეხობა გრძნობს იმ შეცდომებს, რომლებიც მათ დაუშვეს, მაგრამ გვიან არის. ეხლა მთელი მაზრის მშრომელების წინაშე იშლება ის საშინელება, რომელიც თან მოაქვს გვალვას, ამიტომ მომავალში მაინც ხიფათში რომ არ ჩავარდეს მაზრა, საჭიროა საყანე ადგილების შემოდგომაზე დახვნა, როგორც ამას შვრებიან ქართლში და გაზაფხულის პირველ თვეში, მარტში დათესვა, რის შემდეგ გვალვის სუსხი მაზრისათვის იმდენი საზიანო არ იქნება. საჭიროა ამ შეგნების შეტანა ფართო მასსაში, ამასთანავე პარალელურად, საჭიროა მაზრისათვის დაისვას საკითხი მელიორაციის შესახებ.

ამის საშუალება ჩვენს მაზრაში არის; აქ არის მოზრდილი მდინარეები: რიონი, ცხენის წყალი, ტეხური, აბაშა და ცივი, საიდანაც შეიძლება არხების გადაყვანა და სამი მეოთხედი საყანე ადგილების მორწყვა,—რაც სიმშილს აგვაცდენს, არამც თუ გვაცდენს, ზედმეტი სურსათის მარაგის დამზადებაც შეიძლება.

ე. შალ—ძე.

კინჩხის თემი (ქუთაისის მაზრა)

ამ თემში ითვლება 460 კომლი მც. მცირე ნაწილის გამოკლებით ყველა გლეხობაა. გარდა ხვნა-თესვისა, აქაურები მეურნეობის სხვა დარგს არ აწარმოებენ. მაგრამ, რადგან აქაური ნიადაგი მწირია და მასთან შემოდგომის როთვილი აქ პირნახულს ხშირად აფუჭებს, გლეხებს მოსავალი არ ყოფნით.

წელს აგერ ორი თვე გათავდა და წვიმა არ მოსულა, მიწა გახმა, ხვნა-თესვა შეუძლებელი გახდა და დათესილიც დაზიანდა. თუ შემოდგომაზე ნაადრევი სიცივეები დაიჭირა, რაც აქ ხშირი მოვლენაა, ამ თემს სიმშილი მოელის.

ყოფილ მთავრობების დროს, როგორც მაზრიდან მოშორებული და მივარდნილი კუთხე, ეს თემი არავის ახსოვდა. არავინ ზრუნავდა მისი კულტურული წინსვლელობისათვის. მაშინ ბოქაულები და კომისრები აქეთკენ მარტო ხარჯის ასაკრეფად თუ ამობრძანდებოდნენ. დაუხურებდენ უბედურ გლეხებს მათრახებით ზურგს, აჰკრეფდენ ხარკს, შეთვრებოდენ, „მამა-პაპურად“ და კმაყოფილი ღიღინით გაუდგებოდენ გზას.

დღეს ასე არ არის. ეხლა ჩვენც მოგვიკითხეს, გვაქცევენ ყურადღებას. გაკეთდა მშვენიერი გზები და ხიდები, მიმოსვლა გაადვილდა, მოისპო ქურდობა, ყაჩაღობა. მშრომელი ხალხი მოსვენებულად და უშიშრად გრძნობს თავს. გაიხსნა სკოლები და აივსო ისინი ბავშვებით. მალე წ. კ. უ. სალ. სკოლაც გვექნება, მსურველები ბევრია სწავლისა და არ გვეყოლება მომავალში წერა-კითხვის უცოდინარნი. შენდება მთავრობის დახმარებით ვეებერთელა შენობა მთლიანი შრომის სკოლისათვის. გვაქვს სამკითხველო, მოგვდის უფასოდ გაზეთები, ბროშიურები, გვაქვს კოოპერატივი, რამაც იხსნა ხალხი ჩარჩ-ბაცაცებისაგან და სხვა.

ამ თემში ოთხი ეკლესია იყო თავისი ხუცებით: ოთხივე დაკეტა ხალხმა, ხუცები კი სოროებში მიიმალენ. ერთი ეკლესია (ს. რონდიშში) ხალხმა სკოლად აქცია. უკანასკნელ ხანებში ხალხის ერთი უმცირესი ნაწილის თხოვნით ერთი ეკლესია მთავარმა გახსნა. ბნელეთის მოციქულებს ეგონათ, რომ თუ ისინი ითავებდენ ეკლესიის გახსნას, ხალხი მათ გაყვებოდა უკლებლად. ამაოდ. ხალხმა იცის თუ რა ზნეობა-ყოფაქცევის პირებია ისინი, მაგრამ დახე კიდევ მათ უბედურებას, რომ ხუცებიც ვერ იშოვნეს თურმე აი „წმიდა მამებისათვის“ მიწაზე ხელის აღება ძალიან ძნელი ყოფილა.

ხუცების წყალობით და იმის გამო, რომ ამ თემის მცხოვრებთათვის დღემდის არავის უზრუნვია, აქ ხალხი გონებრივად ძალიან ჩამორჩენილია, სხვა თემებთან შედარებით. სამწუხაროდ აქ კიდევ აქვს ადგილი სხვადასხვა ცრუმორწმუნეობას, და შელოცვებს. ცრუ-მორწმუნეობის ნიადაგზე აქ ამ დღეებში ადგილი ჰქონდა ერთს სიმხეცეს: გაუფრთხილებლობის გამო აქაურ მც. გრიგოლ ქაჯაიას ბუხარში შესწვია პატარა ბავშვი.—მშობლების წარმოდგენით და მეზობლების დასტურით, ეს უნდა მომხდარიყოს აქაური მოხუცი ქვრივი ირინე ქიშქარიანის შელოცვით და კუდიანობით, რომელთანაც ბავშვის დედმამას უკმაყოფილებაც ჰქონიათ უწინ. შავ-კაცებს მოხუცი ქვრივი და ბავშვის დედმამა ვითომდა შეურიგებიათ და დასალოცავად სახლში შეუყვანიათ ქაჯაიასას. იქ მოხუცი ქვრივი წაუქცევიათ და გავარვარებული რკინით ჯვარედინათ დაუდაღავთ ხელებზე და შუბლზე, რომ შემდეგში მაინც ვერ შესძლოს სხვების დალუპვა. დედაბერი ავად არის. პატრონი არა ჰყავს. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და დამნაშავენი სასტიკად დაისაჯოს. მასთან კიდევ აქ ყოველგვარ ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მეტის ენერგიით უნდა გაჩაღდეს.

ნესტორ ხურცილავა.

მუშათა ცხოვრება

მელითონეთა პროფ-ტეხნიკურ კურსებზე

ამხ. ლენინის სახელობის კლუბში მოთავსებულია მელითონეთა კავშირის მიერ მოწყობილი პროფ-ტეხნიკური კურსები, რომლის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური მუშები და წითელი სპეცები, კურსებს ხელმძღვანელობს ინჟ. მირზოევი, რომელმაც სული ჩაუდგა ამ კურსებს, თავი მოუყარა სხვადასხვა კავშირის წევრებს—მუშებს, გაიარა მათთან საკმაო კურსი მექანიკურ-ტეხნიკურ საგნებიდან, როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულადაც, მუშები ძალიან ხალისიანათ მეცადინეობდნენ და ისე შეიყვარეს კურსებზე სწავლა, რომ გარეშე სწავლისა მათთვის არავითარ სურვილს არ წარმოადგენდა. ამ რამდენიმე კვირის წინეთ თანახმათ საქართ. პროფ-საბჭოს კულტ-განყოფილების განკარგულებისა, დროებით—საზაფხულო პერიოდში დაიხურა აღნიშნული კურსები, მსმენელ მუშებზე ამ განკარგულებამ ცუდად იმოქმედა, რადგანაც მათი სურვილი იყო და არის ზაფხულშიაც ემეცადინათ, რომ დააჩქარონ კურსების დამთავრება და ჩქარა შესდგომოდენ კვალიფიციურ მუშაობას, და ზოგ მათგანს კი გაეგრძელებინა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

მსმენელთა საზოგადო კრებამ არ მოიწონა ეს ნაბიჯი კულტ-განყოფილებისა და აღძრა შუამდგომლობაც, სადაც ჯერ არს, რათა კურსებზე სწავლა გაგრძელებულიყო, მაგრამ დღესაც არაფერი ისმის.

საქ. პრ. კავშირთა საბჭ. კულტ-განყოფილებას მართებს მიაქციოს ყურადღება მსმენელ მუშების სურვილს და მოთხოვნილებას, და მისცეს მათ საშუალება კურსებზე სწავლის გაგრძელებისა.

მუშკორი **მელითონე.**

რკ. გზ. სამასალო სამსახურის ქარხნების მუშათა ცხოვრებიდან.

აღნიშნულ სამსახურის სადურგლო ქარხანაში მუშაობს ოცამდის კვალიფიციური მუშა. წინედ აქ მუშაობა მიმდინარეობდა ძველი (ჩამორჩენილი) სისტემით. ყოველი მუშა მუშაობდა ცალკე ერთის მეორესგან დამოუკიდებლად. ასეთი ინდივიდუალური შრომის ფორმის უვარგისობა უკვე დიდიხანია, რაც დამტკიცდა პრაქტიკაში და უკუგდებულია თითქმის ყველგან. მაგრამ ბევრგან კი ამ ჩამორჩენილი ფორმის ნაკვლულოვანება ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული და მაგრა ებღაუჭებიან მას. ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ჩვენ ქარხანაშიაც, რასაც თავიდანვე სასტიკად ებრძოდენ შეგნებული მუშები მაგრამ ძველ ადმინისტრაციას ისე ჰქონდა დაყენებული საქმე, რაც მუშებში იწვევდა უთანხმოებას, ჰქმნიდა მათში დეზორგანიზაციას და აშკარად ხელს უწყობდა სეპარატიულ მუშაობის უხეშ ფორმის გამაგრებას. ის ზოგიერთ სუსტი ხასიათის მუშებს ურჩევდა „სახეირო საქმეს" და აძლევდა კარგ ფასებსაც. ამიტომ ესეთი მუშები არ უჭერდენ მხარს სხვებთან გაერთიანებას და კოლექტიურ მუშაობის სისტემის გატარებას. მაგრამ ამ ოთხი თვის წინეთ გადაყენებულ იქნა ქარხნის გამგე ტერ-ყაზაროვი, რომელსაც ქარხნების საქმეები არ ესმოდა და ფაქტიურად საქმეს განაგებდა მისი თანაშემწე ტეხნიკი რაევი. ინჟინერ ტერ-ყაზაროვის შემდეგ მის თანამდებობაზე დაინიშნა წითელი სპეცი ამხ. სოკოლოვი, რომელმაც გაითვალისწინა ქარხნის მუშაობის მოუწესრიგებლობა და მისი მეცადინეობით გადავედით კოლექტიურ. მუშაობის სისტემაზე, რამაც გამოიღო დადებითი შედეგები და ახლა ნორმას ამუშავებენ 50 პროცენტამდის ის მუშებიც კი, რომლებიც წინედ სულ ვერ ამუშავებდენ პროცენტებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, სამწუხაროდ, რომ კიდევ არიან დარჩენილი ჩვენ შორის ისეთი მუშები, რომლებიც სცდილობენ ამ საქმის ჩაშლას და ამღვრევენ წყალს. ამის ცდა უკვე იყო ხელოვნურად შექმნილ დეზორგანიზატორულ ინციდენტებით, რასაც მოუღეს ბოლო შეგნებულმა მუშებმა. მახინჯებს ვაბრთხილებთ მათ აღარ მიმართონ ასეთ ცდებს, თორემ მათი სახელი გამოცხადებული იქნება გაზეთებში.

მუშკორი მიუდგომელი

ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ.

მანომენტის შესახვევზე მდებარე № 7 მუნიციპალიზაციაქმნილ სახლში, პირველ სართულში, მოთავსებულია სასადილო „ელდორადო", ხოლო ამავე შენობის მეორე სართული დაკავებულია საბჭოთა მოსამსახურეების მიერ, რომლებიც „ელდორადოში" გამეფებულ უწესრიგობისა გამო აუწერელ ცუდ პირობებში არიან ჩაყენებულნი მოსვენების მხრივ. ღამ-ღამობით და ისეც სისტემატიურად ამ სასადილოში დაახლოებით ღამის 10 საათიდან, როდესაც ძილს უნდა მიეცენ ხსენებული შენობის მობინადრენი—საბჭოთა მუშაკები დასასვენებლად, სწორედ იმ დროს პირველ სართულში იწყება სხვადასხვა სამუსიკო დასაკრავების ამოძრავება. საბჭოთა მუშაკნი, ძილს თავის დროზე ვერ ახერხებენ და უბრალოდ ჩირქიც ეცხებათ. ამ საძაგლობას ბოლო უნდა მოეღოს.

ინფ. ბარნაბ გ—ა.

გამოგზავნილი წერილებიდან

ტყიბულის მაღაროების მუშების ეკონომიური მდგომარეობა

(პროფკავშირების საყურადღებოდ)

ა. წ. 1-ლ მარტიდან ტყიბულის მაღაროების მუშების ხელფასი გადატანილ იქნა ჩერვონეცის ანგარიშზე—ერთი საქონლის მანეთი უდრის—ერთ ჩერვ. მანეთს. ასეთ შეფარდებამ ფრიად მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩააყენა მუშები, რომელნიც ამ ჟამად ღებულობენ—გარედ მომუშავენი დღეში 47 კაპეიკიდან 67 კაპეიკამდე და მაღაროში მომუშავენი—76-დან 1 მ. 3 კაპეიკამდე დღეში—ეს იმ დროს, როდესაც მუშის ხარჯი მარტო კვებაზე უდრის 50—60 კაპეიკს, რის გამო ხშირად მუშას ნახარჯი მეტი აქვს, ვიდრე მისი ხელფასი. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და მუშის ბიუჯეტი გაუმჯობესდეს რამოდენიმედ მაინც.

ინფორმატორი სილოვანი.

ბანდიტები მცველების ქურქში.

(საგანგებო კომისიის საყურადღებოდ).

8 ივნისს თბილისის საბარგო სადგურთან მცველ რაზმელებმა შეიპყრეს „ტრამოტის" „მცველები", რომელთაც თავის ყარაულობის დროს დაპლომბილ ვაგონიდან მოეპარათ 27 ფუთი ფართალი. ეს მაგალითი პირველი არ არის ტრამოტის მცველებში. აქ უნებლიეთ იბადება ეჭვი, რომ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ორგანიზაციულად შეკავშირებულ ბანდიტთა ჯგუფთან, რომელიც ჩირქს სცხებს სხვა პატიოსან მცველებს. საჭიროა ამ საქმეში ჩაერიოს საგანგებო კომისია და მოაშოროს მუშათა რიგებს არა საიმედო ელემენტები.

მუშკორი ვანო.

ვერის ბაღი.

(თბილისის აღმასკომის საყურადღებოდ)

ოდესღაც ვერის ბაღი საუცხოვო დასასვენებელ და გასართობ ადგილს წარმოადგენდა. ამ ჟამად კი ეს ისტორიული მოგონებათა სავსე ბაღი გადაქცეულა მინდვრად და ბოროტმოქმედთა საბუდრად. იქ, სადაც მუშებს შეეძლოთ დარჩენილიყვენ 12 საათამდე, დღეს დაბინდების შემდეგ გავლაც შეუძლებელი ხდება. ჩვენ ვაშენებთ ახალ ბაღებს და ძველი კი უყურადღებოდ გვრჩება. საჭიროა ბაღში სხვა ღონისძიებათა გარდა დაიდგას სკამების საკმაო რაოდენობა. საჭიროა ბაღზე მეტი მზრუნველობა ქალაქის მიერ.

ინფ. გ. ხერგეთელი.

მუშკორის შენიშვნა მიზანს აღწევს.

„კომუნისტის" ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა სახლის პატრონის მოქ. მაცაბერიძის მდგმურებისადმი ცუდ დამოკიდებულების შესახებ. წერილის წაკითხვის შემდეგ მოქ. მაცაბერიძემ საკვირველად გამოიცვალა თავისი ყოფაქცევა. ის ისეთი ენერგიით შეუდგა შენობის მოვლა-პატრონობას და ისეთი კარგი დამოკიდებულება დაიკავა მდგმურ მუშებთან, რომ დაიმსახურა უკანასკნელთა საერთო პატივი. ახლა არავითარ უსიამოვნებას და გაუგებრობას ადგილი არ აქვს. „კომუნისტმა" გვიშველა.

მუშკორი დურუჯელი.

ნაგომრის რაიონი (გურია)

ნაგომრის რაიონი ადგილ-მდებარეობით წარმოადგენს გურიის შუა გულს—ცენტრს, რომელთანაც დაკავშირებულია ოთხი თემის მცხოვრებნი, დაახლოებით სამი ათასი კომლი.

აღნიშნულ რაიონში კულტურული მუშაობა თანდათან წინ მიიწევს, ყველა თემებში არსებობს შვიდ წლიანი სკოლები.

სამწუხაროთ ჩამორჩენილია ს. ვანის სასწავლებელი, სადაც დიდი ხნიდან დაწყებული შენობა ჯერეც დაუმთავრებელია, რაზედაც საჭიროა ყურადღების მიქცევა მოწინავე პირების მიერ.

ამა წლის დასაწყისიდან განზრახულ იყო ნაგომრის სკოლის ეზოს ბაღათ გაშენება, რაიც სისრულეში მოყვანილ იქნა დაუღალავი მუშაობით ამხ. კირილე უჯმაჯურიძის და გრიშა ოსოფაიშვილის მიერ. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ ამავე რაიაღმასკომის თ-რე ქ. უჯმაჯურიძის, აგრეთვე პარტ-ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დაწყებულ იქნა ის უდიდესი საქმე, რომელიც არის დ. ნაგომარში მდ. სუფსაზე რკინის ბოგის გაკეთება, რის შესრულების შემდეგ უფრო მჭიდროთ დაკავშირებულ იქნებიან ურთიერთ შორის გურიის ჩრდილოეთ-სამხრეთის ყველა მცხოვრებნი.

ხსენებულ საქმის წამოწყება ხალხში დიდ აღფრთოვანებას იწვევს. საჭიროა სამაზრო აღმასკომი დაეხმაროს ამ დიადი საქმის დაგვირგვინებას.

ამ რამოდენიმე თვის წინეთ დაბა ნაგომარში დაარსდა მთლიანი მომხ. საზოგადოება—შვიდი განყოფილებისაგან შემდგარი.

მომხმარებლებ შორის ჯერ-ჯერობით სხვადასხვა მიზეზების გამო საწევრო გადასახადი (სურვილისამებრ) არ აკრებილა. ეს საქმე გადადებულ იქნა მოკლე ვადით, ე. ი. ა. წ. ახალ მოსავლამდე, რომ საშუალება ექნეს მომხმარებლებს თავისი ნაწარმოების შემოტანით გახდენ სრული წევრები.

ნაგომრის კოოპერატივს საწარმოვო თანხა—თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამოდენიმე კარგ შენობებს თავის ინვენტარებით—სავსებით არ ქონებია.

გაუხსნა ნდობა ცეკავშირმა დაახლოებით 5000 მანეთამდე.

ხსენებულმა კოოპერატივმა შესძლო ამავე რაიონში საპარკეს—ფარდულის აგება—10 ჯერ 46 არშინით—სიგრძე სიგანით, სადაც მოთავსდება დაახლოებით ორი ათასი ფუთი.

ამ საქმის მოგვარებაში უაღრესათ მადლობის ღირსია ამხ. კირილე უჯმაჯურიძე, რომელმაც არ დაიშურა თავისი ენერგია და ღირსეულათ უხელმძღვანელა გამგეობასთან ერთათ ფარდულის აგებას.

ფარდულის აგებამ მეაბრეშუმეთა შორის დიდი სიხალისე დაბადა, ვინაიდან მათ პარკის ჩაბარება უხდებათ მისივე რაიონში და არა ათეული ვერსით დაშორებით, რასაც ადგილი ჰქონდა დღემდე.

ფარდულის აგება საქმეს არ შველის. ნაგომრის რაიონს აკრავს კოოპერატიულ ნიადაგზე დაახლოებით 3,500 კომლი. საჭიროა მათი დაკმაყოფილება პირველ მოთხოვნილების საგნებით, რომ არ გახდენ მსხვერპლი სპეკულიანტებისა, ამისათვის საჭიროა და ვიმედოვნებთ რომ ცეკავშირის სამტრედიის განყოფილება მისცემს მეტ კრედიტს და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩვენს კოოპერატივს.

ამ რაიონში სხვასთან ერთათ კარგი მოსავალი იცის თხილმა, სადაც შეუძლია კოოპერატივს შეიძინოს რამოდენიმე ათასი ფუთი, თუ დროიანად შეუდგებიან მის შეძენას. წინაამდეგ შემთხვევაში ამ ნაწარმოებს კერძო ვაჭრები ჩაიგდებენ ხელში, როგორც ეს იყო გასულ წელში.

მადლობის ღირსია ნაგომარის საბჭოთა აფთიაქის გამგე ვალოდია ლომთათიძე მისი დაუზარებელი და ლმობიერ მოპყრობისთვის გლეხობისადმი, ის მზათ არის საექიმო დახმარებისათვის მისულ გლეხს დაუყოვნებლივ დაუმზადოს და მისცეს წამლები, ხშირათ შეხვდებით ასეთს მაგალითს, რომ ღამით დაძინებულს აღვიძებენ და მოდის წამლების დასამზადებლათ.

ა. გ—ლი.

„კოოპერატიულ მოღვაწეობის" ნიმუში

(ს. წინანდალი, თელავის. მაზრა)

აქაურ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს მოქ. ჰიკაძეს აზრად მოუვიდა საპნის ადგილობრივ დამზადება.

წაიღო „დუხი" თუ ოდეკალონი, შეაკეთა „აპარატი", დაიქირავა „სპეცი" და გასწია სხვა ხარჯები.

მიიღო „საპონი", რომელსაც არც სუნი ჰქონდა რაიმე სურნელების: არც ის წამალი, რაც აუცილებელია საპონისთვის.

„საპონი" დალპა და გაუჩნდა მატლები. უნდა გაყიდულიყო გაორკეცებულ ფასებში—„ტოლესთან" შედარებით (!).

აი, ასეთი დაუფიქრებელი, ზედმეტი გატაცება დეფიციტს აძლევს კოოპერაციის, ღუპავს მას.

ასეთი საქმე წინდაწინვე უნდა იყოს გათვალისწინებული, აწონილ-დაწონილი, და ცეკავშირის სამაზრო განყოფილების მიერ ნებადართული. სოფლის ღარიბ, ახლად აღორძინებულ კოოპერაციაზედ ასეთი „ექსპერიმენტი" დამღუპველათ მოქმედობს.

მზგავს მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს. ეს არ არის სამეურნეო მუშაობა.

ამისათვის შესაფერად უნდა დაისაჯოს დამნაშავე.

საერთოდ კი საჭიროა ადგილობრივი კოოპერატივების მუშაობაზე კანტროლის გაძლიერება.

ფან-ფანი.

ქ. ფოთის მუშათა სასადილოში)

ქ. ფოთის სატრანსპორტო კავშირს. აქვს თავის სასახლეში მუშათა სასადილო. მაგრამ, საუბედუროდ სასადილოს ზოგიერთ თანაშრომელს ვერ გაუგია, თუ რას ნიშნავს მუშათა სასადილო. მათ ასე გაუგიათ, რომ მუშათა სასადილოში შევლენ მხოლოთ საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და არა საზღვარ გარეთელი მუშები. ხსენებულ სასადილოში 1 ივნისს ჰქონდა შემდეგ შემთხვევას ადგილი: სასადილოში შემოდის ინგლისის გემის მატროსი სამუშაო ტანისამოსით მან თუმცა არ იცოდა ჩვენი ენა, მაგრამ იცოდა, რომ შემოვიდა მუშათა სასადილოში და არა თავის სამშობლოის ბურჟუების სასადილოში. იმას იწვევენ მუშები თავის მაგიდაზე და უმასპინძლდებიან მუშური პურ-მარილით. ამას ამჩნევს სასადილოს ერთ-ერთი თანამშრომელი, მიდის უცხო სტუმართან და ხელის ბიძგებით, გინებით ისტუმრებს კარში. სტუმარი განცვიფრებაში მოდის და არ იცის, რა ქნას. შემდეგ ის, როდესაც გონს მოვა, ენა უთქმელათ მიდის თავის გემზე.

ასეთ საქციელს, როგორიც არის უცხო მუშის მუშათა სასადილოდან გაძევება, არ უნდა ჰქონდეს ადგილი—პირიქით, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ უცხოელ მუშებთან დაძმობილებას. ამას უნდა მიაქციოს კავშირის გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება, სანამ ჩვენი კავშირის წევრებსაც ასე მოექცეოდენ.

ახკორი შ—ი.

პროვინციის ქრონიკა

გორის აღდგენის კვირეული ქ. ფოთში.

ჩვენი კორესპონდენტი ამხ. **ზ. შათირიშვილი** გვატყობინებს, რომ 7 ივნისს შემდგარა ფოთის ტრანსპორტელთა კავშირის წევრთა საერთო კრება, სადაც გორის აღდგენის მნიშვნელობაზე მოხსენებით გამოსულა ამხ. გ. ლომთათიძე. მუშებს ერთხმად დაუდგენიათ—გადასდონ გორის აღსადგენად თავიანთი ხელფასის ერთი პროცენტი. ფული ამ დღეებში გადაეგზავნება გორის აღმდგენელ კომიტეტს.

წვიმა ახალციხის მაზრაში.

ჩვენი კორესპონდენტი ამხ. **„ძველი რევოლიუციონერი"** გვწერს: „მაისის უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში სამჯერ მოვიდა ჩვენში კარგი წვიმები, რომელმაც გვალვისაგან დაჩაგრული ნათესების გამოკეთება მოახერხა. იმედია, რომ წელს ცუდი მოსავალი არ იქნება, თუ ცოტა კიდევ ხელს შეუწყობს წვიმიანი ამინდები".

პროვინციის ფოსტა

— **ქ. გორი.** „თლიაყანას". გადაეცა ვისაც საჭიროა—საქმის გამოსარკვევად და დამნაშავის დასასჯელად.

— **ს. ნიგოითი.** „კბილის მატლს". იგივე.

— **ქ. ჭიათურა. ამხ. ამხ. ნ. ტყემალაძეს და ე. ღვალაძეს.** ჩვენ უცდით საქმის ოფიციალურ გამოძიების შედეგებს.

— **ქ. ჭიათურა.** იგივე.

— **ქ. ახალ-სენაკი. ამხ. ს. მამულიას.** შეგვატყობინეთ სამაზრო აღმასკომის დასაბუთებული აზრი სალხინოს რაიონის ცენტრის შესახებ.

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას

პატივცემულო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტი"-ს № 136 (991)-ის ქრონიკაში მოთავსებულია ცნობა, რომლის მიხედვითაც სახ. კომ. საბჭოს დაუვალებია ქ. აღმასკომის კომუნალური განყოფილებამ გამონახოს შესაფერი სახლი ჩემთვის (პროფ. მელიქიშვილისათვის) გადმოსაცემად.

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით განვმარტო შემდეგი:

ჩემი 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად სახ. კომ. საბჭომ ა. წ. თებერვლის 17-ს სხვა დადგენილებებთან ერთად გადასწყვიტა გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს ბებუთაანთ ქუჩაზე მდებარე სახლი ქიმიურ ლაბორატორიის მოსაწყობად. ეს ლაბორატორია იქნებოდა ჩემს გამგებლობის ქვეშ, მატარებელი ჩემი (პროფ. მელიქიშვილის) სახელის, მაგრამ კუთვნილება უნივერსიტეტის.

დამსახურებული პროფესორი:
პ. მელიქიშვილი.

გარე-კახეთის მენშევიკების კრება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ სტრიქონებს.

გარე-კახეთის რუყვაში მყოფი მენშევიკების თვითლიკვიდაციის ბიურო ამით აცნობებს ყველას, რომ სოფ. სართიჭალაში, კვირას, 22 თიბათვეს, დილის 10 საათზე მოწვეულია გარე-კახ. მენშევიკებისა და ყოფილ გვარდიელების კრება თვითლიკვიდაციის პროცესის საბოლოოდ დასასრულებლად.

ამიტომაც გარე-კახეთის ბიურო სთხოვს ყოფილ მენშევიკების ცენტრალურ ბიუროს და საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები აღნიშნულ დღეს ყრილობაზე დასასწრებლად.

ამხანაგების დავალებით: ტურა მაისურაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 2

ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში.

1924 წ. ივნისის 18.

1) ვინაიდან საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ მრავალ სახელმწიფო სავაჭრო სამრეწველოებს, ტრესტებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ჯერაც არ წარმოუდგენიათ სათანადო ცნობები თანახმად ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახკომის ა. წ. მაისის 30-ს სავალდებულო დადგენილებისა, № 7, ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხოკომისარიატის რწმუნებული საქართველოში წინადადებას აძლევს:

ა) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყველა განყოფილებებს, ტრესტებს და სახელმწიფო სავაჭრო სამრეწველოებს, რომელნიც კი აწარმოებენ ვაჭრობას თავისი წარმოების საგნებით,

ბ) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს,

გ) კოოპერატივთა კავშირებს

დ) საქ. სოც. საბჭ. რესპ. ქალაქების კოოპერატივებს

ე) სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და ცალკე რესპუბლიკათა ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებს, როგორც კი უნდა იწოდებოდენ ისინი (განყოფილებანი, წარმომადგენლობა, საგენტო და სხვ.).

ვ) ბანკებსა და იმ განყოფილებათ, რომელნიც აწარმოებენ სავაჭრო-ოპერაციებს.

ზ) შერეულ საზოგადოებათ და ვაჭრობის, მწარმოებელ იმ კერძო ფირმების, რომელნიც ვალდებულნი არიან საჯაროდ გამოაქვეყნონ თავისი ანგარიშები,—აუცილებლად წარმოადგინონ 5 დღის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა-შემდეგი ცნობები:

ა) დაწვრილებით სახელწოდება საწარმოსი და მისი მისამართი,

ბ) სად იმყოფება გამგეობა,

გ) მოღვაწეობის ხასიათი (დამზადება, ბითუმათ ვაჭრობა, ნაჭრობით ვაჭრობა, რა და რა საქონლისა)

2) ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული ცნობები-წარდგენილ უნდა იქნეს ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში და ასლი ადგილობრივი აღმასკომის ფასების დამკლებ კომისიაში.

3) ამა დადგენილების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან სასამართლო პასუხისგებაში.

ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში
ლ. გამყრელიძე.

დადგენილება № 1

ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში.

1924 წ. ივნისის 18.

პარაგრაფი 1.

ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ამით აცხადებს, რომ საქართველოს ყოფილ შინა ვაჭრობის კომისიის და აგრეთვე ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყველა დადგენილება, რჩება ძალაში და სავალდებულოა ყველა მათთვის, ვისაც ისინი ეხება.

პარაგრაფი 2.

ადგილობრივ აღმასკომებთან არსებულ ფასების დამკლებ კომისიებს ევალებათ: თვალყური ადევნონ როგორც ზემო აღნიშნულ დადგენილებების—ისე ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის შემდგომ განკარგულებათა და დირექტივების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებას.

ა. ქ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში
ლ. გამყრელიძე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარიული

კომინტერნის მეხუთე კონგრესის შესახებ მოხსენებების ჩატარების წესი

22 ივნისს 1924 წ.

ლენინის რაიონში:
ნაძალადევის თეატრი . . . . ფ. მახარაძე
მუშტაიდი . . . . ტალახაძე

არსენალის რაიონში:
მუშათა ცენტრალური კლუბი . . . . რუბენ
ჩოდრიშვილის კლუბი . . . . ერქომაიშვილი
საბჭოთა მუშაკების კლუბი . . . . ივანიანი

ავლაბარ-ხარფუხის რაიონში:
ლენინის სახელობის კლუბი (ტყავეულის ტრესტი) კასიანი ელისაბედაშვილი.
ავლაბრის კლუბი . . . . მიასნიკოვი.
ნავთლუღის კლუბი . . . . ქვანია.
ნარიმანოვის სახ. კლუბი . . . . ჰუსეინოვი.
ქალთა (მუსულ.) კლუბი. . . . . რასულ-ზადე.
ქალაქის სავადმყოფოს კლუბი . . . . ფესიუკი.

ქალაქის რაიონში:
მ. ცხაკაიას სახ. კლუბი (სახ. კავშირი) . . . . . ვ. ბახტაძე.
პროფკავშირთა-ბაღი (ყოფ. „სტელლა") . . . გენკინი.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები კვირას, საღამოს 8 საათზე უნდა გამოვიდენ აღნიშნულ კლუბებში მოხსენებებით კომინტერნის მეხუთე კონგრესის შესახებ.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ა. პენიაკოვი.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ 24 ივნისს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში გაიმართება **სარაიონო სადელეგატო კრება** ბიუროების წევრთა, კომიაჩეიკების მდივანთა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. სააგიტ-საპროპაგ. განყოფილების მუშაობის გეგმა ზაფხულის განმავლობაში. 2. ფულის რეფორმის შესახებ. 3. მუშათა მთლიან კოოპერატივის ანგარიში. 4. მიმდინარე საქმეები.

ყველას დასწრება სავალდებულოა. არა თავის დროზე შეტყობინებისათვის პასუხისმგებელია იაჩეიკის მდივანი.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი** აუწყებს იმ ამხანაგებს, რომელთაც შეიტანეს განცხადება სამკურნალოთ კურორტზე გაგზავნის შესახებ, რომ ისინი უნდა გამოცხადდენ საკურორტო—შემმოწმებელ კომისიაში (მთავარი სავადმყოფო, ყოფ. მიხეილის) 21, 22 და 23 ივნისს დღის 1 საათზე (უკანასკნელი ვადა) შესამოწმებლად.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი** შაბათს, 21 ივნისს, დილის 10 საათზე თბილისის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილებაში მოწვეულია საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.** ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულო.

— **არსენალის რაიკომი** იუწყება, რომ ორშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება არსენალის რაიონის **მუშკორების ახალგაზრდა კორესპონდენტების, პარტკორების და სამხედრო კორესპონდენტების საორგანიზაციო კრება.**

დღის წესრიგი: 1. საორგანიზაციო საკითხები, 2. მუშკორების სარაიონო ბიუროს არჩევა. 3. მიმდინარე საქმეები. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ: მაშკევიჩი.

პროფესიული

— **ქიმიკოსთა კავშირის ცენტალური გამგეობა და** ქიმიური მრეწველობის და თავდაცვის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო ბიურო ოთხშაბათისათვის სალ. 6 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მთავარი შესავალი „შრომის სასახლეში") ნიშნავენ **საერთო საქალაქო საორგანიზაციო კრებას** ყველა ქიმიკოსთა, თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა დანდასწრებით. კრების მიზანია ყველა ქიმიკოსების გაერთიანება კავშირის ცენტრალურ გამგეობის სექციაში.

დღის წესრიგში: 1. „ქიმიურ მრეწველობის და ქიმიურ თავდაცვის მეგობართა საზოგადოება" მოხს. ბაბაჯანოვის. 2. ქიმიურ მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა. მომხსენ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოდან. 3. ქიმია ქვეყნის სამრეწველო ცხოვრებაში და მისი პერსპექტივები საქართველოში. 4. ქიმიკოსთა სექციის ბიუროს არჩევა.

ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალური გამგეობა,

განცხადებები

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 ივნისისათვის 12 საათზე ზაჰესკომის სამმართველოს დარბაზში (ქალაქის აღმასკომი) დანიშნულია

შეჯიბრება

იჯარით გაცემის ყველა მის მისამართზე მოსული ტვირთების რონოდიდან გადმოტვირთვის საწყობებში გადატანით და დაწყობით და შემდეგ ვიწრო ლიანდაგის რონოდებზე დატვირთვით გადასაზიდავათ სამუშაოზე.

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში განცხადებების შემოტანით, ანაზღაურებული სათანადო სალერბო გადასახადით დაბეჭდილ პაკეთით, რომელიც უნდა ჩაეშვას ყუთში სპეციალურად ჩამოკიდული სამასალო ნაწილის კარებთან.

განცხადებაში უნდა იყოს გამოცხადებული, როგორც თითო ფართო ლიანდაგიანი რონოდის ჩამოცლაზე (900 ფუთი) ან თითო ვიწრო ლიანდაგიანი რონოდის დატვირთვაზე (150 ფუთი), ისე ერთი ფუთი დატვირთვა-გამოტვირთვაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამასალო განყოფილების კანცელარიაში.

სამასალო განყოფილება
ნ. 3—1 1242

მუშათა მთლიანი კოოპერატივის სავაჭრო განყოფილება

1924 წ. 22 ივნისს, დილის 9 საათზე, მთავარ საწყობში—კირიჩის და კამოს ქუჩების კუთხე—(შესავალი კამოს ქუჩიდან, ყოფილ. დიდი მთავრის ქ.)

ნიშნავს საჯარო ვაჭრობას,

რომელზეც გაიყიდება ხელახალი საჯარო ვაჭრობის გარეშე: სხვადასხვა გვარი ავეჯეულობა, სასოფ. სამ. იარაღების ნაწილები. რკინეულობა. სხვადასხვა გვარი ტყავეული, ჭურჭლები შუშის და ემალის. ტომრები. ყუთები და ცარიელი ბოჭკები. საკერავი მანქანები. პოტაში. ლილა. სპილენძი. თოკები. ცულები. ხერხები „ბირ და ბირ"-ი. ჯაგარი. გუთნები. ნამგლები. ფეხსაცმელების ფოლაქები. კონსერვების ბანკები.

მოკალული ვედრები და სხვადასხვა საქონელი 200 სახელწოდებით.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის სავაჭრო განყოფილება.
ნ. 1239 2—2

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მცხოვრებთა საყურადღებოდ

სვირის რაიონის (ქუთაისის მაზრა) აღმასრულებელი კომიტეტი ამით აუწყებს რესპუბლიკის მცხოვრებთ, რომ 1) მის მიერ ა. წლის 1-ლ მაისს დაწყებული რაიონის ბაზრის მშენებლობა სადგურ სვირში დასრულდება ამავე წლის 30 ივნისს, 2) ბაზრობის (იარმუკის) გახსნის 1-ლ დღეთ დანიშნულია 1-ლი ივლისი, 3) ყოველ-კვირეული ბაზრობის დღეთ კი სამშაბათი, 4) ვაჭრობა იწარმოებს: ღვინით, სიმინდით, პურით, ყველით, ლობიოთი, კვერცხით, ხილით, მწვანილით, შინაური ფრინველებით, ოთხფეხა პირუტყვებით, სეზონზე ყურძნით და სხვა, 5) ბაზრობა მოწყობილია სადგურ სვირში რკინის-გზის სადგურის პირდაპირ, 6) აგებულია ერთი დიდი ყაფანი და ოცდა ხუთი (25) გასაქირავებელი „ბუტკები". აღმასკომი ღრმათ დარწმუნებულია რა იმაში, რომ ბაზრის რკინის-გზის სადგურის ახლო მანძილზე აგება და არსებობა გამოიწვევს მოქალაქეებში მეტ ინტერესს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ყოველ დღიურ ბაზრობაში, მოუწოდებს მოქალაქეთ თავისი აქტიური მონაწილეობის მიღებით ცნობილ რაიონის ბაზრობაში ხელი შეუწყონ მას და დააყენონ იგი მკვიდრ აღორძინების გზაზე.

1266 2—1 სვირის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამნეო ქ. განყოფილება ამით აცხადებს, რომ კვირას, 22 ივნისს, დილის 10 საათიდან დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა ნივთებზე. ნივთების გასინჯვა შეიძლება საჯარო ვაჭრობის დღეს დილის 8 საათიდან. შესავალი აღმასკომის ეზოში განოვის ქუჩიდან.

ნ. 1243 1—1

ივლისიდან იწყებს გამოსვლას ქ. თბილისში ორკვირეული ჟურნალი

„ამიერ-კავ. ეკონომიური მოამბე"

(ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანო)

ე. ბ. გენკინის რედაქტორობით.

რედაქცია მიზნათ ისახავს ყოველმხრივ გააშუქოს ამიერ-კავკასიის ეკონომიკის საკითხები, გამოარკვიოს ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები და გააღრმავოს ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო მშენებლობის პრობლემები.

ამასთან ერთად რედაქცია სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის სამეურნეო ინტერესების შეთანხმების ამოცანებს.

თვალსაჩინო ადგილი დაეთმობა ჟურნალში აღმოსავლეთის მახლობელ ქვეყნების სახალხო მეურნეობის პრობლემებს.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის შენობაში—ტროცკის ქუჩა № 8, მე-3-ე სართული, ტელ.—95.

1—1

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულითა და ჭლექით დაავადმყოფებული. სპეც. ციების წამლობა—შეზხაპ. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
895—13—10

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ‘არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით

ბით. თბილისი, ყორგანოვის ქ. № 20. 126—25—10

ექიმი დ. ნ. მატვეევი-მგალობლიშვილი

ყელის, ყურის, ცხვირის და თვალის ავადმყოფობანი.
ოპერატიული მკურნალობა, პლასტიური აპერაციები.
ავადმყოფთა მიღება საღამოს 5-დან 7 ნახ.-მდე კვირადღის გარდა.
ვერა, მლეთის შესახვევი, № 20. 1164—25—8

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 252 მოცემული გეზათ გუდხეთის თემის აღმასკომიდან ირინე ხახულის ასული გოგინეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1275 1—1

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი და დამზღვევი სალაროს ქაღალდი გიორგი ნაბიჯგრიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1276 1—1

დაიკარგა რკინის გზის დუბლიკატი 7262, 120 ყუთი საპონი მიღებული ლენინაკანის კომუნალურ განყოფილებისაგან. დუბლიკატი ჩაითვალოს გაუქმებულად.
1279 1—1 ამხანაგობა „სატსამზო".

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი გაცემული ანა ექვთიმეს ასული ხელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა ქორწინების მოწმობა მოცემული ზაქსიდან № 955 4 | VI 22 წ. თამარ დავითის ასული ჩეჩელაშვილი-ჯობუტისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკის". საშა წულუკიძის ქუჩა № 4.